# საერთო გაზეთი

№24 (663)
ოთხშაბათი
13 ივლისი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.


## მათ ვინც ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესებას ითხოვს, ქართველმა ხალხმა დიდი ხანია „სანქციები“ დაადო



## ბიძინა ივანიშვილს ვერავითარი არაფორმალური თუ ფორმალური სანქცია ვერ აიძულებს საქართველო განადგურებისთვის გაიმეტოს



**ედიშერ გვენეტაძე:**

## სიმართლე ბოლომდე უნდა ითქვას – ეს არის ერთადერთი გამოსავალი ამ ჩიხიდან

**ნანა კაკაბაძე:**

## ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ საქართველო ომში ჩააბან





**მამა ბასილ მკალავიშვილი:**

## მინდა ვამცნო საზოგადოებას – საქართველოს მოღალატეთა არმიას დღეს ჰყავს სამი ბელადი: დეგნანი, ლომჯარია და ზურაბიშვილი

**გური ოტობაია:**

## უმცირესობის დიქტატი

გლობალისტები ჭეშმარიტ ოლიგარქებად ვარაუდობენ იმ მილიარდერებს და მულტიმილიონერებს, რომლებიც მსოფლიოს სთავაზობენ ანტიკაცობრიულ პროექტებს: შიდს, კოვიდს, გენმოდიფიცირებულ სასოფლო პროდუქციას





## მისის კელი დეგნან, დროა, სახლში დაბრუნდეთ!

## საიქიოდან გამოგზავნილი ფულები, ანუ არგასაზრდელთა „პარადი“

## საფრანგეთის რევოლუცია, რომელმაც შეცვალა სამყარო

## ირანი – ჩვენი მეზობელი

## დედამიწა – „კოსმოსური ციხე“

## რედაქტორის სვეტი



ვახტანგ ხარჩილავა

— თქვენ დინების საწინააღმდეგოდ მიცურავთ! — უთხრეს ზვიად გამსახურდიას, როცა მან ისეთი ნაბიჯები გადადგა, რომელიც შემოთავაზებულ სტანდარტებში არ ჯდებოდა.

— დინებას მკვდარი თევზები მიჰყვებიან, — იყო პასუხი, რაც, ფაქტობრივად, იყო მიზეზი იმ განაჩენისა, რომელიც ახლად დამოუკიდებლობამიღებულ საქართველოს გამოუტანეს.

მას შემდეგ 30 წელი გავიდა, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ „ქართული ოცნების" ხელისუფლებამ გაბედა, არ ყოფილიყო „მკვდარი თევზი" და მტკიცედ, ხმამაღლა ეთქვა — არა!

— საქართველო არ შეუერთდება რუსეთის წინააღმდეგ გამოცხადებულ სანქციებს, საქართველოში არ გაიხსნება მეორე ფრონტი! — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და მან ეს გადაწყვეტილება არაერთხელ ხაზგასმით გააჟღერა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა და მისთვის ამ პოზიციის შეცვლის დაჟინებული მცდელობა გრძელდებოდა და გრძელდებოდა, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია.

ქართველი საზოგადოებისთვის იმთავითვე ცხადი იყო, რომ დინების საწინააღმდეგოდ წასვლას არ გვაპატიებდნენ და საპასუხო რეაქცია აუცილებლად იქნებოდა.

ამდენად, დიდად არავის გაკვირვებია ის სკანდალური განცხადებები, რომლებიც სამმა პარლამენტარმა გააკეთა და ნაწილობრივ ფარდა ჩამოხადა იმ კულუარულ ზეწოლებს, რაც საქართველოს ხელისუფლებაზე ხორციელდებოდა, რომლისგანაც კატეგორიულად მოითხოვდნენ, საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომი დაეწყო, რაც ვინმეს წინააღმდეგ ომი კი არა, თვითგანადგურებისკენ, თვითლიკვიდაციისკენ გადადგმული საბედისწერო ნაბიჯი იქნებოდა.

ვფიქრობ, საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის იდეა მცდარი, არაგონივრული და წინდაუხედავი იდეაა, რადგან მისი განხორციელება არა მარტო საქართველოს დააზიანებს და დაანგრევს, არამედ დააზიანებს ჩვენი პარტნიორების ინტერესებსაც.

ერთხელ უკვე ნათქვამს კიდევ გავიმეორებ: ამ ომის შედეგად შეიძლება არა მარტო საქართველომ დაკარგოს სახელმწიფოებრიობა, არამედ დასავლეთმაც დაკარგოს ერთადერთი სტრატეგიული მნიშვნელობის საყრდენი კავკასიაში, რადგან, ყველანაირი გათვლებით, რუსეთს გარანტირებული აქვს წარმატება ამ ომში.

მან წინასწარ იზრუნა ამ წარმატების უზრუნველსაყოფად, როცა საქართველოს მიტაცებულ ტერიტორიაზე თავისი სამხედრო ბაზები განალაგა მძლავრი სამხედრო ტექნიკით და საჯარისო ნაწილებით.

ჩვენ, ფაქტობრივად, ალყაში ვართ, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება შეიკრას და მოგვგუდოს.

ამ სიტუაციაში როგორ და რანაირად ვსხნით ფრონტს?

საქართველოს ხელისუფლების მტკიცე გადაწყვეტილება, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას ომი და როგორმე შეინარჩუნოს მშვიდობა, ერთადერთ მიზანს, ქვეყნის გადარჩენის მიზანს ემსახურება, მაგრამ, საკითხავია, რა მიზანს ემსახურება რადიკალური ოპოზიციის და სხვა ჭრელ-ჭრელი ძალების განცხადებები, რომ საქართველო ხელიდან უშვებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსს, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა ვიმოქმედოთ.

ვინც ამას ამბობს, ვინც აქეთკენ მოგვიწოდებს, ის ამ ქვეყნის ნამდვილი მტერია და მას ისე უნდა მოეთხოვოს პასუხი, როგორც მტერს.

ძნელი შესამჩნევი არ არის, როგორ ჭილყვავებივით შეესივნენ შინ თუ გარეთ, საქართველოს ხელისუფლებას, რომელმაც გაბედა და დინების საწინაღმდეგოდ წავიდა.

— გადადგეს ირაკლი ღარიბაშვილი, გადადგეს ივანიშვილის მთავრობა, ჩამოყალიბდეს დროებითი ტექნიკური კაბინეტი! — ასეთია მოთხოვნა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა.

რამდენიც უნდა ეცადონ, რა გზებს და ხრიკებსაც უნდა მიმართონ, არ უწერია ამ ჩანაფიქრს აღსრულება, რადგან საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ამ ხელისუფლებას და იმ პოზიციას უჭერს მხარს, რომელზეც ეს ხელისუფლება მტკიცედ და პრინციპულად დგას.

ეს პოზიცია საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის პოზიციაა.

### ზაზა შათირიშვილი:

# ბიძინა ივანიშვილს ვერავითარი არაფორმალური თუ ფორმალური სანქცია ვერ აიძულებს საქართველო განადგურებისთვის გაიმეტოს

ადვოკატის მიერ დღეს გავრცელებული განცხადებით კიდევ ერთხელ გახდა ცხადი, რომ არაფორმალური სანქციები ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ უკვე მოქმედებს. ამ კაცს პატრიოტიზმს ვერ პატიობენ და მხოლოდ იმისთვის სჯიან, რომ საკუთარი ქვეყანა საბედისწერო ომისთვის არ გაიმეტა.

ლოგიკას რომ გავყვეთ, სრულიად გაუგებარია, სხვა რა უნდა უნდოდეთ პოლიტიკიდან გასული ბიძინა ივანიშვილისგან, რისთვის შეიძლება უნდოდეთ პოლიტიკაში მისი შემობრუნება ან მმართველ გუნდზე მისი ზემოქმედება.



თუ დღემდე შვეიცარიული ბანკი გადარიცხვების შეჩერებისას ტექნიკურ პრობლემებს იმიზეზებდა, დღეს მან უკვე ევროპარლამენტის რეზოლუციაზე მიუთითა, რაც თეთრი ძაფით ნაკერი ამბავია.

ევროპარლამენტის ეს რეზოლუცია იმდენად აბსურდულია, რომ მას ვერც ევროპულმა კომისიამ და ვერც ევროპულმა საბჭომ ვერ გაუწია ვერავითარი ანგარიში. თუმცა, როგორც ვხედავთ, რეზოლუციამ თავისი მისია მაინც შეასრულა და ის ბიძინა ივანიშვილის მიმართ მოქმედი არაფორმალური სანქციების ნახევრად გაფორმალურების დოკუმენტურ საფუძვლად იქცა.

მე მგონია, ივანიშვილმა უკვე სრულად გაიაზრა ის, რასაც ამდენი ხანია ვამტკიცებ. ყველაფერს ამერიკელები აკოორდინირებენ, რითაც ისინი ორ კურდღელს კლავენ - ერთი მხრივ, ივანიშვილს ომისკენ უბიძგებენ, ხოლო, მეორე მხრივ, შვეიცარიის საბანკო სისტემას თვითდაზიანებით ანგრევენ.

ეს ყველაფერი აჩვენებს, თუ რამდენად მაღალ დონეზეა კოორდინირებული ომში საქართველოს ჩართვისკენ მიმართული ძალისხმევა, რომელიც რუსეთისთვის მდგომარეობის გართულებას და უკრაინაში სამხედრო უპირატესობის დაკარგვას ისახავს მიზნად. „სტრატეგიული პარტნიორის" მიერ განსაზღვრული ამ „დიადი მიზნისთვის" საქართველო საახალწლოდ დასაკლავად გამზადებული ინდაურივით უნდა გაიწიროს.

როდესაც წლების მანძილზე ამ მისიისთვის გამზადებენ, არც ნატოში გიღებენ და არც ნეიტრალიტეტზე საუბრის უფლებას გაძლევენ, ნატოსა და ოდეკაბეს შორის ორპირ ქარში გაყენებენ, რთული გამოსაცნობი არაა, რამდენად არიან გაბრაზებული ივანიშვილზე სცენარის ავტორები, რომელსაც ისინი გეგმის მთავარ ჩამშლელად განიხილავენ. მათ აშკარად ღრმად სწამთ, რომ რომ არა ივანიშვილის ფაქტორი, ხელისუფლების დღევანდელი ლიდერები ამხელა ზეწოლას ვერ გაუმკლავდებოდნენ და მათ საქართველოს ომში ჩართვა მოუწევდათ.

ბოლოს, კიდევ ერთხელ გამოვთქვამ ჩემს რწმენას ივანიშვილის პატრიოტიზმთან დაკავშირებით. ბოლომდე ვარ დარწმუნებული, რომ ივანიშვილს ვერავითარი არაფორმალური თუ ფორმალური სანქცია ვერ აიძულებს, საქართველო განადგურებისთვის გაიმეტოს. საქართველოს ყველა პატრიოტი მას ამ საქმეში გვერდში უნდა დაუდგეს. ამხელა ზეწოლის ფონზე, საქართველოს მხოლოდ პატრიოტული ერთიანობით გადავარჩენთ.

„ფეისბუქი"



# მათ ვინც ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესებას ითხოვს, ქართველმა ხალხმა დიდი ხანია „სანქციები“ დაადო



ბიძინა ივანიშვილმა საქართველო უნდა დატოვოსო, ევროსაბჭოს რეზოლუციაში ეგრე წერიაო, ამას ნიშნავს დეოლიგარქიზაციაო, ატყუებენ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის გულუბრყვილო, გაუთვითცნობიერებელ და გაბრიყვებულ ნაწილს. სამწუხაროდ, საქართველოს მოქალაქეთა ერთი ნაწილი, დაახლოებით 100 ათასი ადამიანი აზროვნების მხრივ ძალზედ მოიკოჭლებს. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ იმ ადამიანებს, რომლებიც „ნაციონალების“ დაძახილზე გარეთ გამოდიან, რუსთაველზე დროშებს აფრიალებენ და ტელევიზორის ეკრანიდან ინგა გრიგოლიასთან ერთად ჰღნავიან.

დიახ, ამ ქვეყანაში ორი ოლიგარქი გვყავს საცემი ტაფით, ბიძინა და პატრიარქიო, წამოაყრანტალა ხელიდან წასულმა ნატა ფერაძემ, რომელიც თურმე 2012 წლამდე ტ...ნაურობდა. ასე ბრძანა თვითონ, არაფერს ვიგონებ.

ამ ეტაპზე ამ თემაზე წერას არ ვაპირებდი... ვიფიქრე, 3 ივლისის მარცხის შემდეგ ე.წ. ოპოზიციონრები ისედაც იტანჯებიან, სულიერ ტანჯვას აღარ მივაყენებ, აღარ დავუმატებ-მეთქი!

თურმე ვცდებოდი. ესენი სულაც არ თვლიან თავებს დამარცხებულად!

პირიქით... აგე, შოთა დიღმელაშვილმა გამოაცხადა, ეხლა დავიშალოთ, ასლან აბაშიძე გაიქცა, აჭარა თავისუფალიაო.

გივიევიჩმა (ლაშა ბუღაძემ) აგვიხსნა, დღეს ვერ დავამხეთ ხელისუფლება, ხვალ დავამხობთ, რა პრობლემააო? თანაც ეხლა ზაფხულია, ჩვენი მხარდამჭერები მაითენთნენო. ამჟამად მთავარი ის არი, რომ მე არ ვარ ფრუსტრაციაშიო!

ეგ კიდევ არაფერი... ტუსაღმა გვარამიამ ხელისუფლებას ისეთი ულტიმატუმი წაუყენა, გეგონება ამა ქვეყნის არსთგამრიგე მყავდეს.

რას ერჩით? მართალი ყოფილა დიტო სამხარაძე, ამათ დედები რომ უხსენა.

მე თუ მკითხავთ, მისი გამოსვლა არ იყო მრავალფეროვნული - მხოლოდ დედათა ხსენება უეფექტოდ გამაიყურებოდა. სად იყო „კეთილები“, „ჯიში“, ჯილაგი“ და „წინაპარი“?

არაუშავს, ამ ეტაპზე, როგორც ვაჟა-ფშაველა იტყოდა, გამადგებისა!

ამათა, კაცო, ამათა? ამათ რამდენიმე კაცი უნდა მივუჩინოთ და ყოველდღე ვაგინოთ. რომც არაფერი დააშავონ, მაინც უნდა ვაგინოთ, თანაც მზის ამოსვლამდე და მზის ჩასვლამდე. მაგათთვის ეგ ლოცვაა.

მოკლედ, იმას ვამბობდი... ე.წ. ოპოზიციონრებს სულიერ ტანჯვას აღარ მივაყენებ-მეთქი, მაგრამ ყურებს არ ვუჯერებ, ესენი თავიანთ აღქმებში ცხოვრობენ. მაგალითად, გიგილო უგულავა უმტკიცებს იმ ქალს (ინგა გრიგოლიას), ჩრდილოეთ კორეის ცენტრალური ტელევიზიის წამყვანივით რომ ზის ხოლმე, თუ „ქართული ოცნება“ ჩვენთან დათმობაზე არ წამოვა, ამ წლის ბოლოს ხელისუფლებას ხალხი წალეკავს და ბიძინა ივანიშვილი გაიქცევაო.

ეს კიდე, ეს ქალი, ჩრდილოეთ კორეის ცენტრალური ტელევიზიის წამყვანს რო ჰგავს ფიზიონომიით, თავს უქნევს, გაიქცევა, მა რას იზამსო? ერთი არ ეკითხება, 3-ში რომ „გააქცუნეთ“, წლის ბოლოსაც ეგრე „გაქცუნდებაო“?

ეგ კიდე არაფერი, აქეთ, მარცხენა მხარეს ორნი სხედან ჭუტას უბორნიაში, ეგენიც თავებს აქიცინებენ თანხმობის ნიშნად, ეჭვიც არ შეაქვთ განიერი ვირთხის ნაამბობში. ერთი „ლელოელი“ ბადრი ჯაფარიძეა, ზუგდიდიდან აქციაზე 7 უსაქმური რო ჩამოიყვანა, მეორე პეტრე ცისკარიშვილი გახლავთ, თავის დროზე პანკისში რო დაიპარებოდა „ტავარის“ ჩამოსატანად.

თავიანთ აღქმებში ცხოვრობენ, ეჭვიც არ ეპარებათ, რომ წლის ბოლოს „ქართულ ოცნებას“ ქვეყნის მოსახლეობა წალეკავს და ბიძინა ივანიშვილი კიდე მოკლეზე „გაქცუნდება“. არც ეს ეჭვობს, ეს კორეელი წამყვანი!

ნიკანორ მელია აცხადებს, ახლა ზოგიერთს უნდა, ბიძინა ივანიშვილი მეცენატად და ქველმოქმედად წარმოაჩინოსო. ეგ არც ერთია, არც მეორე, მხოლოდ ოლიგარქი გახლავთო. როგორცა სჩანს? უჭკუო ნიკანორს მეცენატი და ქველმოქმედი მხოლოდ მამამისი ანზორ მელია ჰგონია. მართალია, მელიების დახარჯული ერთი „კაპეიკიც“ არავის უნახავს, მაგრამ მათ კლინიკაში შესულ პაციენტებს ხომ ანუგეშებენ ხოლმე? გუბაზ სანიკიძე გამოიყვანეს ამას წინებზე „ჭუტლექსვიზიაში“, რატომღაც „ტვ პირველს“ რომ უწოდებენ, ბიძინა ივანიშვილს მოუწოდა, დროზე დატოვე ქვეყანაო. გაიგონეთ, დროზეო, დღესვეო!

და... ძვირფასო მეგობრებო, იცით, ბიძინა ივანიშვილმა რა გააკეთა? იცით, ამ უგვანოთა მოთხოვნას რით უპასუხა? 1 (ერთი) მილიარდი ევრო ჩადო ადრონული თერაპიის ცენტრის მშენებლობაში. მაშინ, როცა ე.წ. ოპოზიციონერი ჭიჭე (ჯუნიორ) ვაშაძე უსინდისოდ აცხადებს, კიბოთი დაავადებულების მკურნალობა არ ღირს, სახელმწიფოსთვის ზედმეტი ტვირთიაო, ბიძინა ივანიშვილი ამ „ტვირთის“ გასაჯანსაღებლად



ხარჯავს 1 (ერთ) მილიარდ ევროს.

მეტიც... ყოველდღე გამოდიან უგვანოთა ჯიშისანი, პირწავარდნილი მოღალატეები და ითხოვენ, სანქციები დაუწესდეს ბიძინა ივანიშვილს. ამათ მიერ გამოგონილი ზღაპრის თანახმად, თურმე ის თანამშრომლობს უკვე სანქცირებულ რუს ბიზნესმენებთან. ტყუილი და პაპიროზი ტრაკში, ერთი მტკიცებულებაც არ აქვთ, ერთ ბრალდებასაც ვერ ადასტურებენ. დიახ, ვერ ადასტურებენ, არც ფაქტები აქვთ, მაგრამ მაინც გაიძახიან, ეგრე გვინდა, ეგრეა და ეგრე იქნებაო. მე კიდევ დარწმუნებული ვარ, არც ეგრეა და ვერც ეგრე იქნება - შეიძლება სიცრუემ, ცილისწამებამ და ორტრაკობამ რაღაც მომენტში გაჭრას, მოღალატეთა წისქვილზე წყალი დაასხას, მაგრამ ბოლოს მაინც ყველაფერი ფარჩაკდება. აგერ, ბორია ჯონსონსაც (ბრიტანეთის პრემიერს) ეგონა, პირველი კაცი ვაროო, მაგრამ ერთ დღეში რიგითი ინგლისელი აღმოჩნდა. ვინ არის რუსეთის აგენტი ლიაკა ხოშტარია, ვინ არის დუპლეტი ჭიჭე ვაშაძე და ვინ არიან დანარჩენი დუპლეტები, მაგათი მოთხოვნით ბიძინა ივანიშვილს სანქციები დაუწესონ და ოლიგარქობაც დასწამონ? კი, მართალია, დღეს ევროპა-ამერიკას ძალიან მძიმე დღეები უდგას, ერთი ნორმალურად მოაზროვნე ხელმძღვანელი (ლიდერი) აღარ ჰყავს, მაგრამ როგორც ტიბაანელი შაქრო იტყვის ხოლმე, სუ ეგრე ვერ იქნება, ყველაფერი მალე შეიცვლება - ამაში ბორია ჯონსონის ბედმაც დამარწმუნა. იცით, კიდევ რამ დამარწმუნა?

მოკლედ, ე.წ. ოპოზიციონრები ჯიუტად იმეორებენ, ბიძინა ივანიშვილს სანქციები უნდა დაუწესდესო, ამ ე.წ. ოპოზიციონრებს აჰყვნენ სულწაწყმედილი ევროპარლამენტარებიც, თავიანთი ქვეყნებისა და თავიანთი საქმეებისა რომ ვერაფერი გაუგიათ და სხვის საქმეებში ჰყოფენ გრძელ ცხვირებს. ფული, ბაბაია, ფული აქვთ აღებული და ყველაფერზე მიდიან!

ფაქტები არ აქვთ, მტკიცებულებები არ აქვთ, რანაირად უნდა დაუწესონ ბიძინა ივანიშვილს სანქციები? ამასთან, ის საფრანგეთის მოქალაქეა (ორმაგი მოქალაქეობა აქვს), რუსეთთან არანაირი შეხება არ აქვს, გარდა იმისა, ვინმე ევტუშენკოვმა რომ დაურეკა და დაბადების დღე მიულოცა. იგივე ევტუშენკოვი აშშ-ის პრეზიდენტის, ჯოზეფ ბაიდენის შვილის ბიზნესპარტნიორი ყოფილა, ამის გამო მას სანქციები არ დაუწესეს. ამაზე მეტი კორუფცია და გამყიდველობა გაგონილა? ტიპს იმიტომ არ დაუწესეს სანქციები, რომ ბაიდენის შვილის პარტნიორია. ბიძინა ივანიშვილს კი იმიტომ ემუქრებიან, რომ ბაიდენის შვილის პარტნიორმა დაურეკა და დაბადების დღე მიულოცა. სასაცილოა მთელი მსოფლიო, აბა, რა არი?

ჩემი ღრმა რწმენით, ბიძინა ივანიშვილს სანქციებს ვერ დაუწესებენ, რაც მის გარშემო ხდება, ეს მხოლოდ იმიჯისა და ღირსების შელახვას ემსახურება, ვერ მოერივნენ იურიდიულად და ცდილობენ, მოერიონ ტექნიკურად, ან მორალურად - ვგულისხმობ შვეიცარიული ბანკის ოინებს, რომელიც კლიენტის (ამ შემთხვევაში ივანიშვილის) ინტერესებს უგულებელყოფს და საკუთარ პრესტიჟს უფრო აზარალებს.

რაც დრო გადის, რაც უფრო ომი დასასრულისკენ მიდის, მით მეტი სიბინძურე აშკარავდება - უკრაინა რომ ყაჩაღების ხელშია, ეს უკვე აშკარად ჩანს. კონგრესმენი ვიქტორია სპარცი ჯო ბაიდენს წერილით მიმართავს და ზელენსკის ოფისის ხელმძღვანელის ანდრეი ერმაკის რუსეთთან შესაძლო კავშირებზე ინფორმაციას ითხოვს. რადგან პრეზიდენტი ზელენსკი ბევრს მუშაობს დასავლეთთან და ჩვენს ქვეყანასთან, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ვაცნობოთ, რომ მისი გარემოცვის გამო შეშფოთებულნი ვართო. ჯერ სად არიან? თუ კარგად გამოიძიებენ, თვით ზელენსკის გამოც კი შეშფოთდებიან. საერთოდ, ის ჭეშმარიტება, რომ რუსეთის წინააღმდეგ ყველაზე დიდი რუსეთუმეები „ილაშქრებენ“ და ეს გალაშქრება არის მხოლოდ ფორმალობა, ამ შემთხვევაშიც სრული ჭეშმარიტებაა, უკრაინის ხელისუფლებაში რუსეთუმეობასა და სანქციებზე ყველაზე მეტად ის მოხელეები ჯღნავიან, რომლებიც რუსებთან კურკურში უკვე არაერთხელ შენიშნეს - იგივე არახამია, არესტოვიჩი და სხვები. ამათი მეთოდი ლიაკა ხოშტარიას მეთოდის ანალოგიურია, ან პირიქით, ლიაკას მეთოდია ამ წუპაკების მეთოდის ანალოგიური - დააბრალე იქით სხვას ის ცუდი, რასაც შენ აკეთებ, ანუ იქით შეედავე, აქეთ რომ შეგრჩეს. ზუსტად ასე მოქმედებდა ადოლფ ჰიტლერი მარჯვენა ხელი იოზეფ გებელსი. დღეს უკრაინის ხელისუფლებაც და საქართველოში „მოღვაწე“ ე.წ. ოპოზიციონრებიც გებელსის დოქტრინის მიხედვით მოქმედებენ და დარწმუნებულნი იყავით, მათაც იგივენაირი კრახი ელოდებათ, როგორიც განიცადა ადოლფის ე.წ. ხელისუფლებამ მეორე მსოფლიო ომში.

ისე, ბოლოს მაინც ვიტყვი... ვინც ბიძინა ივანიშვილს შეეჭიდა, ვინც მას ომი გამოუცხადა, ზოგი ნამეტნავად აჟიტირდა, ზოგი - დასნებოვნდა, ზოგი სადღაც გაიქცა, ზოგი ციხეში ზის და ზეზეურად აყროლდა, ზოგი საკუთარ თავს ელაპარაკება, ზოგი საკუთარ თავთან თათბირებს მართავს, ზოგი მზეს ეკამათება - შენ ჩადი, მე უნდა ამოვიდეო, ზოგი მთვარეს ეჩხუბება - ამოსვლას აგვიანებო, ზოგი მარსზე კარტოფილის დასათესად ემზადება, ზოგს კიდევ ილლიებში ძირმაგარები გამოსდის, ზოგი 76 წლის ასაკში გათხოვდა. ჰოდა, ვერ გავიგე, ამ ხალხს რა ძალა აქვს, რაზე გადადიან ჭკუის იქით დაუკრეფავში?

ფრთხილად, თქვე ეშმაკის მოციქულებო, ფრთხილად, სანამ ქვეყნიდან ასეთი კაცის გაძევებას მოისურვებთ, უკან მიიხედეთ, სარკეში ჩაიხედეთ, საკუთარ წარსულსა და შესაძლებლობებს გადახედეთ!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# სიმართლე ბოლომდე უნდა ითქვას – ეს არის ერთადერთი გამოსავალი ამ ჩიხიდან

*გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:*

**— ბატონო ედიშერ, ევროკომისიის გადაწყვეტილებით კანდიდატის სტატუსის გარეშე დავრჩით. რას გვიპირებს ევროპა?**

— როგორც ჩანს, მსოფლიო პოლიტიკური კარტის თამაშისას, ჩვენ, ევროპის მხარეს ვერ მოვხვდით, რაც შეუიარაღებელი თვალითაც აშკარაა. ამავე დროს, მსოფლიოს განმაგებელ მამებს სურთ საქართველო ომში ჩაებას. ევროპარლამენტარებმა საშინლად უსამართლო გადაწყვეტილება მიიღეს თუნდაც, იმიტომ, რომ ყველა პუნქტით, მონაცემებით, ნებისმიერი პარამეტრით უკრაინასა და მოლდოვას ბევრად წინ ვუსწრებდით. თურმე, ეს არაფერს ნიშნავს, არამედ ევროკავშირისთვის მთავარი ყოფილა მოსახლეობა იღუპებოდეს, ქვეყანა



ნადგურდებოდეს და შედეგად, კანდიდატობის სტატუსს მოგანიჭებენ. ეს გახლავთ მარაზმი, რასაც ევროპის დღევანდელი ხელმძღვანელობა პატარა ქვეყნის — საქართველოს მიმართ აკეთებს. ამას არანაირი გამართლება არ აქვს. ყურადღება მიაქციეთ მთავარ საკითხს: ჩვენ, მცირე, სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყანა ვართ, რომელსაც ყოველ წუთს შეიძლება გარეშე მტაცებელმა ხელი წაავლოს. ამიტომ, ჩვენი პოლიტიკური ისტებლიშმენტი, მთელი ქართველი ხალხი ცდილობს ისეთი თავშესაფარი მოვძებნოთ, სადაც შედარებით დაცულნი ვიქნებით. ამისთვის, ორი, ძირითადი, სტრუქტურა ავირჩიეთ — ევროკავშირი და ნატო, მაგრამ სამწუხაროდ, დღემდე, ორივესგან გარიყულნი და მოტყუებულნი აღმოვჩნდით. განსაკუთრებით, ევროკავშირისგან. ჩვენი სიტუაცია იცით, რას მაგონებს? — კაცი ჭაში არის ჩავარდნილი, თოკს ჩაუგდებენ, იგი ითხოვს ამოიყვანონ, მაგრამ ზემოთ მდგომნი ეუბნებიან: ამა და ამ პირობას თუ შეგვისრულებ, ამოგიყვანთო. ევროკავშირი ისეთ პირობებს გვიყენებს, რისი მოკლე დროში შესრულებაც, ფაქტობრივად, შეუძლებელია. აი, ამ ვითარებაშია ჩვენი ქვეყანა. მივესალმები მმართველი პარტიის მიერ მიღებულ, აბსოლუტურად, სწორ გადაწყვეტილებას — მოსახლეობას უთხრას სრული სიმართლე, ვინ რას წარმოადგენს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. ევროპის, მსოფლიოს დემოკრატიულმა ძალებმა თუ ხელთ მშვიდობის დროშა არ აიღეს, წარწერით — მსოფლიოს ხალხებო მშვიდობისთვის გაერთიანდით იმ ძალების წინააღმდეგ, რომელთაც თქვენი სისხლის ხარჯზე უზარმაზარი სიმდიდრის მოპოვება სურთ, კაცობრიობას დაღუპვა უწერია.

**— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება აზდის დაპირებულ ფარდას მოვლენებს, რაც ჩვენთვის კანდიდატის სტატუსის არმონიჭებას უკავშირდება?**

— გამორიცხული არაფერია იმიტომ, რომ ყველაფერს თავის დასაწყისი და დასასრული აქვს. რასაც „ქართულ ოცნებას" გამოყოფილი ტრიო ამბობს, ამ თემებზე უკვე რაზანია მუდმივად ვსაუბრობ. დიახ, რასაც აქაური ნაძირლები სახელმწიფოს წინააღმდეგ აკეთებენ, დასავლეთიდან



მხარდაჭერა რომ არ ჰქონდეთ, ვერაფერს შეძლებდნენ. ამის დამადასტურებელი ფაქტები მრავლად არის — მათ სახელმწიფო დამნაშავეების ციხიდან გათავისუფლება მოითხოვეს. დასავლეთის ზეწოლით გათავისუფლდა ბიუჯეტის ქურდი უგულავა, ცნობილი ყაჩაღი რურუა, ასევე, ოქრუაშვილი და რაც მთავარია, დანაშაულებრივი პარტიის დამნაშავე ლიდერი ნიკა მელია. გარედან წნეხი, ზეწოლა რომ არ ყოფილიყო, მათ გაათავისუფლებდნენ?! — რა თქმა უნდა, არა. 20 ივნისს მთელმა მსოფლიომ იხილა, როგორ განხორციელდა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოზე შეტევა. ამ დროს, ჩვენი ოპოზიცია ურცხვად გვატყუებს: პარლამენტის შენობაში დასათვალიერებლად შევდიოდითო. სარებით, ძალადობრივი გზით შედიოდნენ ექსკურსიაზე?! ნაცებს ოკეანის გაღმა-გამოღმა ძალებიდან რომ არ ჰქონოდათ მხარდაჭერა, ვფიქრობ, მათ სათითაოდ დააპატიმრებდნენ და ციხიდან აღარც გამოუშვებდნენ. ჩვენ ვნახეთ როგორ დამთავრდა ანალოგიურ სიტუაციაში, აშშ-ში კონგრესში შეჭრის მცდელობა. დამნაშავეებს, პირდაპირ, ცეცხლი გაუხსნეს, რაშიც სახელმწიფო, აბსოლუტურად, სწორი იყო. როცა ძალადობრივი ქმედება ხორციელდება, ხელისუფლების ვალია სახელმწიფოს ინტერესები დაიცვას. სახელმწიფო საკუთარ თავს თუ ვერ იცავს, მე როგორღა დამიცავს?! ასე, რომ ქვეყნის შიდა და გარე მტრები ორკესტრირებულად მოქმედებდნენ. თუ მათ სათანადო პასუხი არ გაეცათ, არაფერი გვეშველება. კუბილიუსები, ფოტიგები, კრამონები, სხვა არამკითხე მოამბეები პირწავარდნილი მექრთამეები არიან, რომლებიც ლობისტების შირმას არიან ამოფარებულნი. თუ მათი შავ-ბნელი საქმიანობა არ გამოაშკარავდება, ბოლომდე იმ ვითარებაში დავრჩებით, რაშიც ახლა ვიმყოფებით. წარმოიდგინეთ, საქართველოს, სადაც 900 წლის წინ დაიწერა: ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნს ხმელსა ნედლადო, დიახ, ამ ქვეყანაში გვეუბნებიან: მოსამართლეს შენ, ვერ დანიშნავ, მე უნდა დაგინიშნოო. კი ბატონო, მე, მინდა ჩემი ქვეყნისთვის დასავლური იგივე, ადამიანური, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, მაგრამ ვერავი-



თარ შემთხვევაში ვერ მივიღებ იმ ღირებულებებს, რასაც ის მექრთამე ევროდეპუტატები აჟღერებენ, რომელთაც სამარცხვინო რეზოლუციას მოაწერეს ხელი. ეს რეზოლუცია ევროპის ისტორიაში შევა როგორც ერთ-ერთი სამარცხვინოზე სამარცხვინო გადაწყვეტილება. სად წავიდე, ვნახო სამართალია, ვის შევჩივლო შექსპირი მკვდარია. ცოტა გადავაკეთე. ამ ხალხს ევროპის სირცხვილი დავარქვი. შემთხვევით როდი თქვა თავის ერთ-ერთ შედევრში შექსპირმა: დანიის სამეფოში რაღაც დალპაო. ჩემი აზრით, ევროპაში ბევრი რამ დალპა, რასაც გამოცვლა სჭირდება.

**— ევროპა გვეუბნება: ჩვენს ოჯახში არ მიგიღებთ, სანამ არ გამოსწორდებითო.**

— რა გვჭირს გამოსასწორებელი?! ინგლისის პარლამენტარიზმს რამდენიმე საუკუნით წინ უსწრებს ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასი, რომელიც სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გაიფიცა. მაშინ, როცა ევროპელები ტყეებში დაბოდიალობდნენ და კენკრას აგროვებდნენ, საქართველოში „კანონების კოდექსი" და „ვეფხისტყაოსანი" იწერებოდა. სწავლება მისაღებია, მაგრამ დიქტატს ვერავისგან ავიტანთ. ეს ჭკუისმასწავლებელი ევროპელები სააკაშვილისა და კეზერაშვილის ნაძარცვი ფულით იკვებებიან. ნაცები ცალი კალოშებით მოვიდნენ და დღეს, მილიარდერები არიან. მულტიმილიონერია სააკაშვილის დედა, რომელსაც დახეული ფეხსაცმელი ეცვა. მას, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შენობები კაპიკებად გადასცეს. ეს ქალი დღეს მაღალ მატერიებზე გველაპარაკება, რაც უბრალოდ, სირცხვილია. საქართველოში, სამწუხაროდ, დამნაშავეთა კასტა მოქმედებს. აქვე, მინდა, ერთ საკითხზე გავამახვილო ყურადღება: ბიძინა ივანიშვილმა სამ მილიარდზე მეტი საკუთარი ჯიბიდან ამოიღო, ოჯახს მოაკლო და ქვეყანას მოახმარა. მან, უდიდესი საქმე გააკეთა, როცა ხელისუფლებას ეს მწამებელთა სექტა ჩამოაშორა. სააკაშვილის ხელისუფლება სისტემურ მწამებელთა სექტას რომ წარმოადგენდა, ამას სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაც ადასტურებს, რომელიც ევროპაშია. სტრასბურგის სასამართლო ერთადერთი ორგანოა, რომელიც ევროპულ, ცივილურ ღირებულებებზეა დაყრდნობილი და რომელმაც ახალაიას, პირდაპირ, უთხრა: შენ ხარ ჯალათი. ახალაიას, მეგის ქარდავას და სხვათა შემქმნელები გახლავთ სააკაშვილი, ბოკერია, უგულავა და ძმანი მისნი. დღეს, ბოკერია და უგულავა თავისუფლად დასეირნობენ გარეთ, თან, მაღალ მატერიებზე გვესაუბრებიან. მინდა ყველამ კარგად გაიგოს და ავუხსნა: ვინმეს მართლა ჰგონია, რომ ივანიშვილს კოაბიტაცია უნდოდა?! ეს დასავლეთიდან იყო თავსმოხვეული. პირდაპირ გაიცა დავალება — ნაცების ბიზნესებს არ შეხებოდნენ. ახლა, ყველაფერი უნდა ვთქვათ, სიმართლის გარეშე ეს ქვეყანა დაიღუპება და ვერც სახელმწიფოს ჩამოვაყალიბებთ. დააკვირდით: იგივე ხალხი აპირებს ქვეყნის მოსპობას, განადგურებას, რომელთაც 1991-92 წლებში ეს ერთხელ უკვე გააკეთეს — ბერძენიშვილები, ხოშტარიები, გაბაშვილები და ა.შ. ისინი ქვეყნის გადამტრიალებელ დინასტიებად ჩამოყალიბდნენ. როდემდე უყუროს ამ ყველაფერს ქართველმა ხალხმა?! როცა მოესურვებათ უნდა გადაატრიალონ, მერე, გადმოატრიალონ და ამას მივაჩერდეთ?! ასე გაგრძელება

6 გვ. →





# ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ საქართველო ომში ჩააბან



***გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ.პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:***

**— ქალბატონო ნანა, როგორც მაკ ფოლიმ განაცხადა: სანქციები საქართველოსაც უნდა დაუწესდეს. რა უნდა დასავლეთს, რისთვის გვსჯის?**

— აქ, პირველ რიგში, რიტორიკული შეკითხვა უნდა დავსვათ: გვეშველება რამე? გავიძახით: დასავლეთს ვირჩევთო. დიახ, „დასავლეთს ვირჩევთ“ — ამ ფრაზას ბევრი ყოფილი თუ მოქმედი პოლიტიკოსისგან გაიგონებთ. თუ კარგად გავაცნობიერებთ, მივხვდებით, რომ ეს არ არის არჩევანი დასავლურ დემოკრატიასა და რუსულ ტოტალიტარიზმს შორის, არც ღირსეულსა და უღირსს შორის, არც თავისუფლებასა და მონობას შორის. როგორც ჩანს, ეს არის არჩევანი დავარცხნილ და დაუვარცხნელ მონათმფლობელს შორის.

ახლა, ვნახოთ, რა არის დასავლეთის მთავარი მოთხოვნები: შეცვალეთ კანონმდებლობა ჩვენი ინტერესების მიხედვით! დაიკავეთ ანტირუსული პოზიცია იმ დოზით და იმ ფორმით, როგორსაც ჩვენ თქვენგან მოვითხოვთ!

მოკლედ, რომ ჩამოვაყალიბო, დასავლეთი გვეუბნება: შენ ჩემი ქვეშევრდომი უნდა იყო და არა თანასწორი. ააა, არ გინდა ჩემი ქვეშევრდომობა? — მაშინ რუსულ წიაღში დაბრუნდიო. დიახ, დასავლეთისთვის სიმართლე და სამართალი ის არის, რაც მისი ქვეყნის ან კოლექტიური დასავლეთის ინტერესებს შეესაბამება. დასავლეთი გვეკითხება — არ გინდათ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა? — მაშინ ის ხელისუფლება გეყოლებათ, რომელიც მეორე ფრონტს დიდი ხალისითა და ენთუზიაზმით გახსნისო. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ჩვენს თვალწინ ვითარდება და ისევ რჩება მარადიული პასუხგაუცემელი კითხვა: გვეშველება რამე?!

**— ეს ადრეც გვითხრა არესტოვიჩმა — სააკაშვილი ხელისუფლებაში რომ ყოფილიყო აუცილებლად დაიწყებდა ომს, ის გმირია, თქვენ კი ლაჩრები ხართო.**

— რა თქმა უნდა, ყველაფერი საქართველოს ომში ჩასათრევად კეთდება. აქ, 12 პუნქტიანი დავალების შესრულება არაფერშუაშია, არამედ საუბარია პოლიტიკის შეცვლაზე. 12 პუნქტის შესრულება, უბრალოდ, მიზეზია. საქართველომ უკრაინასა და მოლდოვაზე უკეთ შეასრულა ყველაფერი. თუკი მათ ყოველგვარი პირობის გარეშე მიანიჭეს კანდიდატის სტატუსი, ჩვენ, რატომ გვეუბნებიან: ჯერ ჭკვიანად მოიქეცით და მერე, კანფეტსაც მოგცემთო?! ეს პოლიტიკური სასჯელია. ზოგადად, კანდიდატის სტატუსის თემა ომმა წარმოშვა. ყველაფერი ზოგად-გლობალური პოლიტიკისკენ იყო მიმართული. დღეს, ტერიტორიული გადანაწილება ხდება და სად იქნება საქართველო, ეს უმნიშვნელოვანესია როგორც რუსეთისთვის, ისე ამერიკისთვის. ჩვენი ქვეყნისთვის ბრძოლა მიდის. თუმცა, სამწუხაროდ, ამ ბრძოლისას ხდება არა ჩვენი ინტერესების დაცვა, არამედ პირიქით, იგნორირება. რუსეთი იმიტომ არ გვინდოდა, რომ იგი ჩვენს ინტერესებს უგულვებელყოფდა. უცებ, აღმოჩნდა, რომ ამერიკა თავისი ინტერესების გატარებასთან ერთად, საქართველოს ფიზიკურ განადგურებასაც მიზანშეწონილად მიიჩნევს, მით უმეტეს, თუ ასე რუსეთსაც პრობლემებს შეუქმნის. დასავლეთი მზად არის საზარბაზნე ხორცად გვაქციოს. ამის გაცნობიერება ძნელია, რადგან საქართველოს დასავლეთისგან სულ სხვა მოლოდინები ჰქონდა. რუსეთი თავის სიძლიერეს ძალის დემონსტრირებით ახდენდა, ამერიკა, ევროპა კი საკუთარ სიძლიერეს დემოკრატიასა და სხვათა უფლებების პატივისცემაზე აყრდნობდნენ. თუმცა, უცებ აღმოჩნდა, რომ მოტყუებულნი დავრჩით.

**— ევროპამ გამოსასწორებელი ვადა მოგვცა. ასე ცუდად არის ჩვენი საქმე?**

— ჩვენ, მსოფლიოში პირველი ქვეყანა ვართ, სადაც არჩევნებში მონაწილეობას ქალი ღებულობდა. 20-იან წლებში პარლამენტში ოთხი ქალი დეპუტატი გვყავდა. მართალია იმ პარლამენტმა ცოტა ხანს იმუშავა, მაგრამ აქ, პრინციპია მნიშვნელოვანი. ესენი, კიდევ, ახლა „გვასწავლიან“ ქალთა უფლებებს, ადამიანის ღირებულებებს, არჩევანის თავისუფლებას მაშინ, როცა ჩვენ ამ კუთხით პრეცედენტული ქვეყანა ვიყავით. დიახ, მაშინ მსოფლიო არ იცნობდა პრაქტიკას, რომ ქალებს უფლება ჰქონოდათ არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ. მიკვირს სტუდენტების, რომლებიც აქციებზე დადიან და ევროპა გვინდაო, გაჰყვირიან. ნუთუ, არსებობს ისეთი სტუდენტი, რომელმაც არ იცის, რომ ფაშიზმი გერმანიაში იშვა?! სამწუხაროდ, მათ არავინ ეუბნება, რომ ევროპა ასეთი ცალსახა და ერთგვაროვანი არ არის. ევროპაში, სწორედ, ფაშიზმმა, მეორე მსოფლიო ომმა მოიტანა იმის აუცილებლობა, რომ მათ ადამიანის უფლებები იმ საფეხურზე აეყვანათ, რაზეც დღეს არის. მეორე მსოფლიო ომმა აჩვენა, რომ ეს პრობლემა სერიოზულად იდგა. ამიტომაც ამ საკითხს დიდი ყურადღება მიაქციეს. რასაც ჩვენ დღეს ევროპულ ღირებულებებს ვეძახით, ეს, სინამდვილეში ის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები გახლავთ. სწორედ, ამ ღირებულებებზე იდგა. საქართველოს მე-12 საუკუნეში ქალი მეფე მართავდა. ეს, აბსოლუტურად, სხვა კულტურის, ტრადიციების ქვეყანაა. იმის ნაცვლად, რომ ეს უნიკუმი შეინარჩუნონ, გვეუბნებიან: საზარბაზნე ხორცად იქეცითო. ჩვენ ხომ ფაშიზმისკენ არ მივისწრაფით, არამედ ცივილიზებული ევროპისკენ. ეს არის ცივილიზებული ევროპა?!



**— საუბრის დასაწყისში ახსენეთ: 12 პუნქტის შესრულება, უბრალოდ, მიზეზიაო. გამოდის, არც 6 თვის მერე უნდა ველოდოთ კანდიდატის სტატუსს. როგორ ხედავთ მოვლენების შემდგომ განვითარებას?**

— დაძაბულობა კიდევ უფრო მეტად გაიზრდება, თუ მანამდე გადატრიალება, რევოლუცია ვერ მოახერხეს. ეს ის კოზირებია, რომელსაც თანდათანობით, საქართველოს არაკეთილმოსურნენი ააშკარავებენ. რევოლუცია თუ არ გამოვა, მერე, სხვა გეგმაზე გადავლენ, რათა ესკალაცია კიდევ უფრო გაამწვავონ და თქვან: ხელისუფლებამ დავალება არ შეასრულაო, რითაც ხელახლა გამართავენ მანიფესტაციებს, მიტინგებს და ა.შ. ამ ყველაფრით ხელისუფლების ჩამოშორება სურთ, რომელმაც ორი მთავარი დავალება ვერ შეასრულა — პირველი, არ ჩართო ქვეყანა ომში და მეორე, ქვეყანაში არ ატარებს, არ აკანონებს გეი-პრაიდებს. აი, რისთვის ვისჯებით.

**— დეგნანის მიერ, საქართველოს ომში ჩათრევის სურვილი, ღიად გააკრიტიკა „ქართული ოცნებიდან“ წამოსულმა დეპუტატმა — ყაველაშვილმა.**

— ეს კრიტიკა სავსებით სამართლიანი იყო. დიახ, ეს გახლავთ, დღეს, ამერიკის მთავრობის პოზიცია. აქვე, ერთი რამ მინდა გითხრათ: ტრამპი ამერკაში სულ უფრო და უფრო მეტად იკიდებს ფეხს. პოლიტიკა რასაც ამჟამად, დეგნანი საქართველოში ატარებს, ამერიკის მოსახლეობის უმრავლესობისთვის, აბსოლუტურად, მიუღებელია. იმიტომ, რომ არჩევნებმა სადაც ბაიდენმა გაიმარჯვა, ძალიან დიდი კითხვის ნიშნები წარმოშვა, რამაც ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც უნდობლობა გამოიწვია. მალევე, იფეთქა საპროტესტო მუხტმა, ხოლო ტრამპის მიმართ მხარდაჭერა გამძაფრდა და გაძლიერდა. იცით რატომ? — პირველი ის, რომ ტრამპი ღირებულებებზე ორიენტირებული პოლიტიკით გამოირჩეოდა და მეორეც, უფრო კონსერვატორული ტრადიციების მიმდევარი იყო. იგი, ლგბტ-ს ასეთ გაფეტიშებას მხარს არ უჭერდა. მეორეც, მთავარი ის გახლავთ, რომ საზოგადოებამ დაინახა შემდეგი: ბაიდენის არჩევა კეთილსინდისიერად არ მომხდარა. აქედან გამომდინარე, უკმაყოფილება რაც ამერიკაში დეგნანის, დემოკრატების წინააღმდეგ დუღს, ძალიან მალე თავის გამოხატულებას ჰპოვებს. იმედი მაქვს, მომდევნო ელჩის პოლიტიკა, კელი დეგნანისგან განსხვავებული იქნება. ჩვენ, ეს უნდა განვიხილოთ როგორც დემოკრატების პოლიტიკა, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან და ვერ ასახავენ საზოგადოების უმრავლესობის განწყობებს, ამერიკაშიც კი. როდესაც დეგნანი ლგბტ მარგინალური ჯგუფების მიმართ მიკერძოებას იჩენს რომელსაც ქართველი საზოგადოება მხარს არ უჭერს, იგი, ფაქტობრივად, დარტყმას აყენებს, იგივე, ამერიკის იმიჯს, პოლიტიკას. დიახ, დეგნანი ასეთი გაუთვლელი ნაბიჯებით ამერიკას საქართველოს უფრო და უფრო აშორებს. პოლიტიკოსი იმისია, რომ ხალხის კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდეს და არა, პირიქით. ის პოლიტიკა რასაც დღეს დეგნანი საქართველოში ემსახურება, ანტიამერიკულია. მე, ამერიკას მთლიანობაში განვიხილავ და არა დეგნანას და მის დემოკრატებს. დიახ, ეს პოლიტიკა, პირველ რიგში, ანტიამერიკულია და მერე, უკვე, ანტიქართულიც.

**— ამერიკის მიზნები გასაგებია, მაგრამ ევროპა რატომ გვიბიძგებს ომისკენ?**

— საქართველოს ომში ჩართვის სურვილი გახლავთ ამერიკული პოლიტიკის გავლენა ევროპაზე. ფაქტობრივად, რუსეთ-უკრაინის ომით ამერიკამ დასავლეთი შეისრუტა, შეიწოვა და მიიბა, რომელიც ომამდე ერთი წლით ადრე, უკვე, როგორც მსოფლიო პოლიტიკაში მესამე ძალა, ისე იყო გამოკვეთილი. ამერიკამ დაწესებული სანქციებით, რუსეთზე მეტად ევროპას დაარტყა. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, თანდათანობით, ეკონომიკური აფეთქება, ანუ, სილატაკე, ფასების მატება, საპროტესტო აქციები იწყება. ამ ქვეყნებს, ამერიკის პოლიტიკის შედე-



6 გვ.



# სიმართლე ბოლომდე უნდა ითქვას – ეს არის ერთადერთი გამოსავალი ამ ჩიხიდან

4 გვ.

არ შეიძლება. ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს.

**— წეღან, ახსენეთ: ივანიშვილმა პეტრიაშვილებს და სხვებს ჩააცვა, აჭამა და დღეს მტრად მოეკიდნენო. მართლაც, ახლა ეს ხალხი დასავლეთთან ერთად დეოლიგარქიზაციას ითხოვს.**

— კოლექტიური მარგველაშვილები, ბუკები, კუკები გარკვეულ დავალებას ასრულებენ. ისინი 21-ე საუკუნის ყორღანაძეები არიან. ქართველი ხალხი ბრძენია და ამ ვიგინდარებს არ აჰყვება, მაგრამ სხვა რამ მაწუხებს — მათი უმადურობა, რასაც საზღვარი არ აქვს. ივანიშვილმა მათ უპატრონა, ღორებივით წუმპეში რომ იწვნენ, იქედან ამოათრია, გაწმინდა, გაჩოთქა და ამათ რა გააკეთეს... მაგრამ ღორს ასეთი ჩვევა აქვს: შეჭამს საჭმელს, მერე, რაც არ უნდა დაბანო, ისევ დაბრუნდება და ტლაპოში ჩაწვება. ამ პერსონებზე აღშფოთების გარეშე ლაპარაკი, შეუძლებელია. თუ ქართველი ხალხი ამათ აჰყვება, მაშინ ღირსი იქნება, რასაც ესენი მერე დამართებენ. მაგრამ ქართველი კაცი ასეთი რომ ყოფილიყო, იგი, დღევანდელ დღემდე თავს ვერ მოიტანდა. ქართველი კაცის დამოკიდებულება მათ მიმართ შემდეგია: ნაცებს და მის მიმდევრებს როგორც უდიდესი ღალატის მატარებლებს, ფეხქვეშ ქართული მიწა უნდა ეწვოდეთ.

**— სოზარ სუბარმა აღნიშნა: ევროკავშირის წევრობის თემა ხაფანგი იყო, რაშიც თავი შეგვაყოფინესო. რას ფიქრობთ, ყოველივეზე?**

— დასავლეთი საქართველოში რევოლუციურ გადატრიალებას ემხრობა. ხომ ხედავთ, ახალგაზრდების ნაწილი ახლანდელი ევროპით მოხიბლულია. ისინი გაუთვითცნობიერებლები არიან — არ იციან, რა სხვაობაა კანდიდატის სტატუსსა და ევროპულ პერსპექტივას შორის. ფაქტობრივად, არაფერი, უბრალოდ, სიტყვების რახა-რუხია. ჩვენ, ვართ ასოცირების წევრი, გვაქვს თავისუფალი ვაჭრობა, ვიზა-ლიბერალიზაცია. სხვა რა აქვს უკრაინას და მოლდოვა? უკრაინამ რუსეთთან ვიზა-ლიბერალიზაცია ორიოდ კვირის წინ გააუქმა. ეს ვინმემ იცის? ხალხნო, ცოტა ტვინი გავანძრიოთ, მსოფლიოში გადანაწილების პროცესი მიმდინარეობს, რაც ორ წელიწადში დასრულდება და აქამდე, როგორმე გავძლოთ. მახსოვს, გამსახურდიას უკიჟინებდნენ: ჯერ დემოკრატია და მერე დამოუკიდებლობაო. 31 წლის წინაც ზუსტად ასე იყო. ახლაც, როგორი ვითარებაა, გვეუბნებიან: ჯერ ევროპა და მერე საქართველოო. ამას იგივე ხალხი აკეთებს. ხოშტარიას დაუმტკიცდა, რომ 1997 წლიდან ფე-ეს-ბეს ფულით ფინანსდება. ახლა, ამ ადამიანის გათეთრება დაიწყეს. ნაცების „ნათელი“ სახე კუპონა-გოცირიძე ამბობს: რა მოხდა, ეს ჩვეულებრივი ამბავიაო. ასევე, „ნაცმოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი გახლდათ ფე-ეს-ბეს ნომრიანი აგენტი გრიგოლ ვაშაძე. ვინ არის „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარე კობა ნაყოფია, რომელსაც რუსეთში აქვს ბიზნესები? — იგი, რუსი ბიზნესმენია. რა ლოგიკაა — ნაცები ებრძვიან რუსეთს და მათი პარტიის თავმჯდომარეს იქედან მილიონებს აძლევს?! ამის ვის სჯერა?! ვინ არის პარტიის პირველი ნომერი? — ბუბა კიკაბიძე, რომელმაც პარტიის აქციაზე, თბილისის ცენტრში რუსულად იმღერა. ვინ არის მეხუთე ნომერი? — დევი ჭანკოტაძე, რომელმაც შიდა ქართლში ზარბაზნები მოხსნა და ზვიადს დაუშინა. ყველა თანხმდება, რომ საქართველოში გადატრიალება რუსეთმა მოახდინა. ვინ გამოდის ჭანკოტაძე?! ახლა, კიდევ ერთი ნაცი გავიხსენოთ: ძალიან კარგად მახსოვს, როცა საქართველოს დე-სე-თეში ილებდნენ და შევარდნაძის ხმა არ ჰყოფნიდა, გიორგი ბარამიძემ კიბე ამოირბინა და დაიყვირა: ხმას დე-სე-თეს ვაძლევო. ვინ არის ნატო ჩხეიძე, რომელიც პირდაპირ მოლაპარაკებებზე დადიოდა. ნინო ბურჯანაძის პუტინთან ვიზიტებზე აღარაფერს ვამბობ. ეს ყოველივე დოკუმენტური მასალაა. ყველამ გააცნობიეროს, რა ხდება რეალურად. მე, დარწმუნებული ვარ, „ნაცმოძრაობა“ სწორედ რუსეთიდან იკვებება. ხოშტარია ამ ყველაფრის მერე, კიდევ როგორ იღებს ხმას?! აქვე, ჩვენი დასავლელი მეგობრების გამკვირვებია. ამ ნაძირლებს, ვინც ზემოთ ჩამოვთვალე, მხარს უჭერს უკრაინის ხელისუფლება, რომლის აზრით: „ქართული ოცნება“ უნდა წავიდეს და ნაცები მოვიდნენო. რა გამოდის, რა ძალა დგას უკრაინის ხელისუფლების სათავეში?! ისინი ერთი უზარმაზარი ჯაჭვის შემადგენელი რგოლები არიან. ამიტომ, დასავლელ პარტნიორებს და იმ ევროპელებს რეზოლუცია რომ შეადგინეს, მინდა ვუთხრა: კარგად გააცნობიერონ თავიანთი საქციელი. როგორ შეიძლება 308 ევროპარლამენტარმა ასე ჰაი-ჰარალედ მიიღოს გადაწყვეტილება?! დიახ, ეს ევროპული სათაგურია, რაც აბსოლუტურად სწორად შენიშნა სოზარ სუბარმა. გვეუბნებიან: დეპოლარიზაცია, დეოლიგარქიზაცია უნდა მოხდესო. ეს პირობა ვერ შესრულდება. ბიძინა ივანიშვილს საქართველოში ბიზნესი აქვს? — არა, ხომ. ტელევიზია აქვს? — არა, ხომ. რაც პოლიტიკიდან წავიდა, ვინმეს უნახავს, იგი, პოლიტიკაზე მოსაუბრე? აბა, რა გავლენებზე საუბრობენ?! ითხოვენ: ივანიშვილმა ქვეყანა დატოვოსო. რა მიზეზით?! მალე, ალბათ, იტყვიან: ივანიშვილს ჩამოვახრჩობთო. იმიტომ, რომ მათ სინდისი, ნამუსი არ გააჩნიათ. იციან, რომ არჩევნების გზით ხელისუფლებას ვერ შეცვლიან, იმიტომ, რომ ხალხს ნაცების მიმართ შიში და ზიზღი აქვს, რადგან ისინი ქვეყნის განვითარების წინააღმდეგნი არიან. წარმოიდგინეთ, დიღმელაშვილი, მაქარაშვილი, თაბაგარი, ხელისუფლებაში რომ მოვიდნენ, რა მოხდება. დავალების შესრულების გამო, ისინი ყველაფერზე წავლენ. ძალიან საშიში ხალხია.

**— ბოლოს, პრეზიდენტის ბოლოდროინდელ ქმედებებს როგორ შეაფასებთ?**

— პრეზიდენტი, ხშირად, გადის თავისი მოქმედების არეალიდან. მას ვერ გაუცნობიერებია რა ქვეყნის პრეზიდენტია. ქართველმა ხალხმა სიყვარულის გარდა, სხვა რამეც იცის, ამიტომ კარგად დაფიქრდეს. ზურაბიშვილი დიდი ქართველის ნიკო ნიკოლაძის შთამომავალია, ამიტომ ახლა, მას არ ვაკადრებ იმას, რასაც იმსახურებს. სჯობს, მან კარგად გაიაზროს ვისი გორისაა და ვის უნდა ემსახუროს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ საქართველო ომში ჩააბან

5 გვ.

გად, არასტაბილურობის განცდა დაეუფლათ. ეს არის მსოფლიოს არევ-დარევის, გაღატაკება-დაჩაჩანაკების გეგმა.

**— ქალბატონო ნანა, რაც დრო გადის აშკარავდება, რომ თქვენს მიერ დაწყებული ბრძოლა ნაცების პოლიტიკიდან ჩამოსაშორებლად, სწორი და მართებული იყო. ახლა, ევროპა გვეუბნება: დეპოლარიზაციაო და რა გამოსავლი გვრჩება?**

— სხვათა შორის, კარგი იქნება თუ განმარტავენ: რას გულისხმობენ დეპოლარიზაციაში. ცალსახაა, ევროპა ამ ტერმინში ნაცების სასარგებლო პოლიტიკას გულისხმობს. რას ნიშნავს დეპოლარიზაცია? — მრავალპარტიულ სისტემაში პოლარიზება ყოველთვის იქნება. ეს ყველგან ასეა. დეპოლარიზაცია იყო კომუნისტების დროს, როცა მხოლოდ ერთი პარტია არსებობდა. როცა ამდენი პარტია არსებობს, როგორ შეიძლება იქ, პოლარიზაცია არ იყოს?! ყველა ერთნაირად უნდა აზროვნებდეს?! რას ითხოვს ამით დასავლეთი, რომ არ იყოს კამათი, განსხვავებული აზრი?! ზელენსკი რასაც აკეთებს, მთელი ოპოზიცია რომ დაიჭირა, ეს უნდათ თუ რას გვთხოვენ, გაგვაგებინონ?! საქართველოში 200-ზე



მეტი პოლიტიკური პარტიაა, როგორ უნდა იყოს დეპოლარიზაცია? ქვეყანამ რომელსაც დემოკრატიაზე, თავისუფლებაზე, მრავალპარტიულ სისტემაზე აქვს პრეტენზია, დეპოლარიზება როგორ უნდა მოახდინოს, არ მესმის! ამ ყველაფერში თუ საბჭოთა რეჟიმს გულისხმობენ, ესეც გაგვაგებინონ. ვიმეორებ, დეპოლარიზებული ვიცი მე, კომუნისტური პარტია, სადაც არავითარი პოლარიზაცია არ იყო.

**— დეოლიგარქიზაციაში რაღას გულისხმობენ?**

— ამასაც ვერ განმარტავენ. ვერც იმას ამბობენ: ოლიგარქში ბიძინა ივანიშვილს ვგულისხმობთო იმიტომ, რომ იციან: აქვე, თავს წამოყოფენ ნაცების ოლიგარქები. ამიტომ, ზოგადად ამბობენ. რა, ამერიკას არ ჰყავდა მილიარდერი პრეზიდენტი?! ეს ყველაფერი ანტიქართული ძალებისგან მოდის. დასავლეთს საქართველო კი არ აინტერესებს, არამედ საკუთარი ქვეყნის ინტერესებისთვის რა სჯობს, იმის მიხედვით მოქმედებს. დასავლეთის ინტერესებისთვის კი კარგი აღმოჩნდა ის, რომ ჩვენ, უნდა ჩავერთოთ ომში, გავხსნათ მეორე ფრონტი და უკრაინის მსგავსად, საქართველოც ფერფლად ვაქციოთ. უკრაინა 44 მილიონიანი ქვეყანაა, ჩვენ სამი მილიონი დავრჩით. ერთნაირი ძალაა საჭირო უკრაინის და ჩვენს გასანადგურებლად? ორი ბომბი საკმარისია და საქართველო ფქვილად იქცევა. ხმამაღლა ვაცხადებ: ეს გახლავთ ანტიქართული პოლიტიკა, რასაც გარედან გვკარნახობენ.

**— ბოლოს, მინდა გკითხოთ, რას ემსახურება ზურაბიშვილის ბოლოდროინდელი განცხადებები?**

— როცა ჩვენი ფრანცუჟენკა პრეზიდენტი პერიოდულად მარგინალურ აზრებს აფრქვევს, ბევრს უკვირს: საფრანგეთის დემოკრატიის პირობებში დაბადებულ-აღზრდილი და განათლებული ადამიანი ასეთ შეცდომებს რატომ უშვებს. ალბათ, გვავიწყდება, რომ ჩვენთვის ხელიხელ საგოგმანები და იდეალად გამხდარი ევროპა სულაც არ არის ერთმნიშვნელოვნად დადებითი, უხინჯო და ყველაფერში მისაბაძი. სწორედ, ევროპაში, ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის პარალელურად, დაიბადა და აღორძინდა, ჯერ კომუნისტური, ხოლო შემდეგ ფაშისტური მოძღვრებები. დღეს კი ევროპაში, აშშ-ს მსგავსად, ფსევდო ლიბერალური ტოტალიტარიზმი ცდილობს გაბატონებას, რომელიც მისგან განსხვავებული ყველა იდეოლოგიის, რწმენის თუ მოძღვრების მატარებელთ, ჩამორჩენილებს და ჰომოფობებს უწოდებს და მათ ადგილს ისტორიის სანაგვეზე ხედავს. განსხვავებული აზრის გამოხატვის შეზღუდვას კი, ნორმად მიიჩნევს. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ადამიანის უფლებათა გარანტი — პრეზიდენტი, განსხვავებულად მოაზროვნეთა საპყრობილეში გამომწყვდევას მოითხოვს. როდესაც სალომე ზურაბიშვილის მიერ, შეუწყნარებლობით გაჟღენთილი პოზიციები ვრცელდება, გვინდა თუ არა, ჩვენს თვალწინ ფსევდო ლიბერალური ტოტალიტარიზმის ადეპტების გავეშებული სახეები ცოცხლდება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲔᲚᲩᲡ ᲙᲔᲚᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ



ჩვენ დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალ-ყურს „ქართული ოცნებიდან“ გასული სამი დეპუტატის: სუბარის, ხუნდაძისა და ყაველაშვილის სატელევიზიო გამოსვლებს, მათ წერილებს და განცხადებებს...

მიგვაჩნია, რომ მათი პოზიცია მეტად მნიშვნელოვანი და არსებითია ქვეყნის დამოუკიდებლობის და ეროვნულ ინტერესეთა დაცვის თვალსაზრისით — ჩვენ ბეწვის ხიდზე გავდივართ...

განსაკუთრებით საყურადღებოა ყაველაშვილის წერილი და კითხვები კელი დეგნანისთვის, რომელიც დიდი ამერიკის ელჩი გახლავთ, ჩვენს პატარა, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში...

სამწუხაროა, რომ ქალბატონმა დეგნანმა ბოლომდე ვერ თუ არ წაიკითხა საქართველოს პარლამენტარის წერილი, ეს მან თავისი პირით განაცხადა დიპლომატისთვის რამდენადმე უტაქტო ცინიზმით...

მოკრძალებით ვურჩევ კელი დეგნანს, ყველაზე დიდი ქვეყნის ელჩს პატარა, ოკუპირებულ ქვეყანაში, რომ ეს წერილი ბოლომდე გულისყურით წაიკითხოს, ვინაიდან იქ რაც წერია, სიმართლეა და მოითხოვს ობიექტურ პასუხებს ელჩისგან. ამ პასუხებს საზოგადოება ითხოვს და არაოდენ პარლამენტარები...

დეგნანმაც და ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმაც კარგად უნდა წაიკითხონ ეს და სხვა ამ ტიპის წერილები, რომლებსაც მათ ქართველი ინტელექტუალური საზოგადოება უგზავნის და გაუგზავნის...

თუ არ წაიკითხავენ, ვერ გაიგებენ, რა ხდება აქ, რა აწუხებს ამ ქვეყანას და საზოგადოებას; არ ეცოდინებათ, რეალურად რა უნდა ქართველ ხალხს და ბოლომდე გაუგებრობაში დარჩებიან „ოქროს თევზებივით“.

თუ სიმართლე არ ეცოდინებათ, ვერც მისიას აღასრულებენ.

ქალბატონმა კელი დეგნანმა კი სიმართლე არ იცის, ანდა არ უნდა, რომ იცოდეს. ამაზე მიანიშნებს მისი არაკონსტრუქციული რეაქცია ქართველი პარლამენტარების წერილზე. ეტყობა, იგი ყალბი ვულგარიზებული მასმედიის და ფაშისტურ-რევანშისტული (სექტანტური) პარტიებისა და არასამთავრობოების პროპაგანდის ქსელშია მოქცეული და აცდენილია რეალობას. რაც მეტად სახიფათოა ქართველი ერის (სახელმწიფოს) და მისი მართლაც საიმედო მეგობრის და პარტნიორის ამერიკის ურთიერთობისთვის.

ქართველი ერის ფსიქოლოგია კი სულ სხვაა და სულ სხვა „ინტერესი“ და განსაცდელი აწუხებს. იგი დგას XXI საუკუნის აპოკალიფსური ომის ხაზთან (ზღვართან) და სისხლიან პოლიგონზე შეგდებას უქადიან...

საქართველო (და მისი ხელისუფლება) გადის მაოხრებელი პარტიების შიზოფრენული პრეტენზიების (და ძალადობის) თმენის პერიოდს. ერი განიცდის და მტკივნეულად აღიქვამს ერთიან კულტურულ და ზნეობრივ სივრცეზე გლობალური დარტყმების ვიბრაციას და მსხვრევას.

ქალბატონო ელჩო! ამ და სხვა პრობლემათა პირისპირ დარჩენილ ისტორიული ცივილიზაციის ობოლ ქვეყანას თქვენი დახმარება და თანადგომა სჭირდება და არა ნეგატიური რეაქცია.

ჩვენ გვინდა ეროვნული, ტოლერანტული, რეალურად დამოუკიდებელი ქრისტიანული სახელმწიფო, როგორიც შუა საუკუნეთა და უფრო უძველეს (ფარნავაზის დროის) ეპოქებში გვქონდა: ეს რუსთაველის და ვაჟა-ფშაველას ქვეყანაა და ვინმე ლომჯარია-ხოშტარია-სამადაშვილების და ჯალათი სააკაშვილების სათარეშო ვერ იქნება.

ქალბატონო ელჩო, კელი დეგნან, კიდევ ერთხელ მკაფიოდ აღვნიშნავთ (ვაცხადებთ), რომ მთლიანად ვიზიარებთ სამი პატრიოტი პარლამენტარის პოზიციას და მხარს ვუჭერთ მათ, რადგან, რასაც ისინი წერენ და აპროტესტებენ, სიმართლეა. ისინი აშიშვლებენ ხიფათის შემცველ მოვლენებს, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება და ეს „ჩვენი ხიფათი“ თქვენც უნდა გააცნობიეროთ.

ვითარება მეტად რთულია, როდესაც ნაციონალ-ფაშისტების მიერ გამოთაყვანებული ბრბო და მათივე ტელევიზიებით ზომბირებული „ბავშვები“ (ახალგაზრდები) რომ გაჰყვირიან „შინ, ევროპისკენო“ მათ წართმეული აქვთ საკუთარი სახლები და სოფლები და განდევნილი არიან ნამდვილი „შინიდან“ ისევ და ისევ ამ ტირანი ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს, რომელთაც კოდორის ხეობა და შიდა ქართლი პირდაპირ ჩააბარეს რუსეთის იმპერიას.

ჩვენი ერის უბედურების 99% მათი წილია.

●

მათ სატანისტურ საქმეებზე ღაღადებენ ისტორიულ თემ-სოფლების ნანგრევები და სამეგრელოს ტყეებში კასრებში შენახული ასობით ფირი ცოცხებითა და ყავარჯნებით გაუპატიურებული პატიმრების ტრაგიზმზე.

თქვენ კი ამაზე დუმხართ და მწვანე შუქს უნთებთ მათ ბაკხანალიებს ქუჩებში და ბარბაროსულ-ვულგარულ ტელევიზიებს — მიკროფონებს რომ ურტყამენ თავში მოქალაქეებს, უმტვრევენ კარებს და ველურებივით გადადიან ეკლესიების სარკმელიდანაც კი.

თქვენ დუმხართ „ქართული ოცნების“, მათი ლიდერის მიმართ „პროსკრიპტებზე“ ევროკავშირის მიერ პროკრუსტეს სარეცელიდან რომ ააყენა განწირული ერი და ახლა სანქციებს უწესებენ. სადაური, რომელი ევროამერიკული კონსტიტუციის სამართალია ეს? საგანგაშო, ფეოდალური მონური დამოკიდებულება ისტორიული ერის მიმართ, რომელმაც ევროპის ცივილიზაციას დაუდო სათავე და თურქმენული ურიცხვი ურდოების აოხრებისგან იხსნა ევროპა ადრეულ შუა საუკუნეებში (აღმაშენებლის დროს).

თქვენი პასუხი პარლამენტარების თქვენს მიერ წაუკითხავ თუ ვერწაუკითხავ წერილზე ფეოდალური და უკმეხია. ჩვენს გაკვირვებას იწვევს თქვენი ასეთი უსამართლო, ტენდენციური მიდგომა (პოზიცია) სამი პარლამენტარის სრულიად სამართლიან ლეგიტიმურ ტექსტებზე და ქართველი ერის ბედზე.

თქვენ სდუმხართ, როცა ქართულ სახელმწიფოს აშანტაჟებენ, სწამებენ ცილს და მიათრევენ უკრაინის სისხლიანი პოლიგონისკენ, XXI საუკუნის აპოკალიფსისკენ, მესამე მსოფლიო ომისკენ, რომლის შეჩერებაც ევროპას რატომღაც არ სურს.

აქ უკრაინის სისხლს წურავენ რუსული და ევროატლანტიკური „აქლემების“ ომში და ეს ავანტურისტ ზელენსკის ურჩევნია, რომ ასე იყოს და ქართველთა სისხლსაც ითხოვს ეს ვამპირი.

როდესაც საქართველოს „აბიტურიენტის“ სამარცხვინო ფარატინა „ქაღალდს“ უწერს ევროპა და ცრუ ბრალდებებით აშანტაჟებთ, ამ უსამართლობას თქვენი დუმილით ადასტურებთ, ეს მეტად სამწუხაროა.



უნდა გაცნობოთ, ქალბატონო დეგნან, რომ ჩვენ, მწერალთა ეროვნულმა აკადემიამ, სამი დეპუტატის უწინარეს ანალოგიური წერილები არაერთგზის მივწერეთ ამერიკის და ევროპის ელჩებს ანალოგიური პრობლემებით და შევთავაზეთ ელიტურ საზოგადოებასთან, მწერლებთან, მეცნიერებთან, შემოქმედებით კავშირებთან და თემის „კითხულ კაცებთან“ შეხვედრა, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი. ჩვენ მივიღეთ „უდაბნოს დუმილი“, თქვენ სდუმხართ და სდუმდით.

თქვენ არ გესმით, ველური სექტანტური ოპოზიციური რევანშისტების და პარტიების ყიჟინა, პარლამენტში შეჭრას რომ ლამობენ განუწყვეტლად და ხელისუფლების ძალადობით დამხობას. თქვენ არ გაქვთ რეაქცია მათი ღია, დაუფარავი ძალადობის მიმართ.

●

საზოგადოებას და განსაკუთრებით მის ელიტურ ნაწილს აშფოთებს ევროკავშირის (კუბილიუსების და მათი პარტიის) გაუგებარი ომის ქართველთა გენიალური პიროვნების, ჭეშმარიტად XXI საუკუნის რჩეული მამულიშვილის, ივანიშვილის წინააღმდეგ. მან ჭეშმარიტად გაათავისუფლა ერი ტირანიისგან და მშვიდობა მოუტანა ოკუპირებულ-დაფლეთილ ქვეყანას. მან განსაზღვრა და სასიკეთოდ შემოაბრუნა ქვეყნის ბედისწერა.

ფრიად გაუგებარი და აღმაშფოთებელია ერის სულიერი სივრცის ნგრევა ტელევიზიების მაზომბირებელი ძალადობით და მათი ფატალური ბრძოლა ერის კაცთა ღირსების — ისტორიული გმირების თუ პატრიარქის წინააღმდეგ.

ჩვენ ვერ შევძელით კანონის მიღება ზნეობრივი ძალადობის ცილისწამების, შეურაცხყოფის სახელმწიფო გადატრიალების პროვოცირების აღსაკვეთად და ამ მიზეზით ქვეყანა ბუნდოვან-გაურკვეველ ქაოსში აღმოჩნდა გამოხატვის უზნეო თავისუფლებებით და სიბრძნედაკარგული თაობის ეიფორიით.

●

ამდენად, სამართლიანი და ლეგიტიმურია სამი დეპუტატის პოზიცია და აუცილებელია მათ კითხვებზე ელჩის პასუხები. მისი დუმილი და ფარული აღშფოთება სახიფათოა. ასეთ პოზიციებს საზოგადოება აჯანყებისკენ და (ვენდეტისკენ) მიჰყავს.

სამი საკრალური რიცხვია. „ვეფხისტყაოსანში“ სამი საკრალური მხედარი (გმირი) იღებს ქაჯეთის ციხეს 300 მეომრით და გამოჰყავს მთვარე გველის ტყვეობიდან.

ჩვენ მოვუწოდებთ სამ პარლამენტარს, ამ ნიჭიერ და პატრიოტ მამულიშვილებს, გააფართოვეთ და გააძლიერეთ თქვენი „სამება“.

გამოაცხადეთ ეროვნული დაცვის პროგრამა, მოუხმეთ ერს და მოვა არაოდენ 300, არამედ 300 000 კაცი.

ჩაუდექით ამ მოძრაობას სათავეში, ამის დრო დადგა.

ერთხელ კიდევ მივმართავთ და ვეკითხებით ამერიკის ელჩს კელი დეგნანს: რა აზრი აქვს ელჩობას, მის აქ ყოფნას, თუკი ის ჩვენი ქვეყნისა და ამერიკის საპარტნიორო ურთიერთობას დააზიანებს?

**ᲙᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ**
საქართველოს მწერალთა
ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი







# უმცირესობის დიქტატი



როდესაც პროლეტარიატის დიქტატურაზე იწერებოდა მანიფესტი, აშკარად მიანიშნებდნენ, რომ მსოფლიოში პირველად საფუძველი ეყრებოდა ახალ კაცობრიულ წესრიგს, მანამადე არნახულსა და არგაგონილის; ანუ ძალაუფლებას ხელში იღებდა პლანეტარული ცივილიზაციის ნამდვილი შემოქმედი ძალა – მუშათა და გლეხთა კლასი, იგივე უმრავლესობა, ერთი მუჭა უმცირესობის – კაპიტალისტებისა და თავმცხუნვარე ბურჟუის განზე გაჩოჩების გზით.

ახლა შევხედოთ, თუ რას ნიშნავს **უმცირესობა** სოციალ-პოლიტიკური ასპექტით. დღევანდელ მსოფლიოში ფაქტობრივად ეს არის საწარმოო ძალების მესაკუთრეთა ძალზე უმნიშვნელო რაოდენობა, იგივე ოლიგარქიული მსოფლიო; ეს არის რამდენიმე ასეული მილიარდერისა და რამდენიმე ათასეული მულტიმილიონერის კასტა, რომელიც დაუფლებულია პლანეტარული ცივილიზაციის უმთავრეს საარსებო წყაროებს: მიწას, წყალს, (პოტენციაში ჰაერსაც), წიაღისეულ საბადოებს, სოფლებსა და ქალაქებს, გაზეთებს და ტელევიზიებს, სამუზეუმო არტეფაქტებსა და ტილო-შედევრებს. მათი ხვედრითი წილი საზოგადოებაში ძლივს 1 პროცენტია, რომელიც ფლობს ზოგადკაცობრიული ღირებულების 70 პროცენტს, ხოლო საზოგადოების 99 პროცენტი, დანარჩენ 30 პროცენტს.



აი, ვინ არიან ოლიგარქები. აი, ვის სჭირდება „კოვიდებით" მანიპულაციები თუ რუსეთ-უკრაინის ომის ინსპირირება. აი, ვის სჭირდებოდა ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური სასაკლაოები; აი, ვის სჭირდება ნებისმიერი პლანეტარული აშლილობა: შიდსები, პანდემიები, რადიაციული დარდუბალა საკუთარი ეგოისტური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ისინიც თავიანთი ბუნების გათვალისწინებით ორად განიყოფიან, პროგრესულ და რეგრესულ ოლიგარქებად. საილუსტრაციოდ აქ გთავაზობთ ამერიკელი ოლიგარქის, **ილონ რივი მასკისადმი** გაგზავნილი ჩემი წერილის ამონარიდს:

**„ბატონო მასკ, თქვენ ბრძანდებით კაცობრიობის აუხდენელი ოცნების რეალურად განმახორციელებელი. თქვენი „ტესლა" ეკოლოგიურად წარყვნილი ჩვენი დედამიწის ერთ-ერთი უალტერნატივო ხსნაა, ჯერ-ერთი ასე მუხანათურად და ბარბაროსულად მიწის წიაღიდან ამოტანილი ნავთობის შესანარჩუნებლად, რომელიც ფაქტობრივად ჩვენი პლანეტის არსებობისათვის აუცილებელი ენერგიაა, სისხლი; მეორე – ჩაესვენება ატმოსფეროში მომწამვლელი გაზების მანქანებიდან გამოფრქვევა, რაც აგრერიგად აჩანაგებს ჩვენს ფაუნასა და ფლორას, სპობს ადამიანებს სხვადასხვა პრობლემით. ამ დროს ბაიდენი „მთვლემარე პრეზიდენტი" კი არა, უკვე დრომოჭმულის და ანტიკაცობრიულის ტოტალური მავნებლობის მარაზმული ლობი-ხელისუფალია, სიკვდილის ლობი, რადგანაც ჩვენი პლანეტის საზიანო კორპორაციებს და მიმართულებებს მიკერძოებით უხანგრძლივებს სიცოცხლეს.**

**ბატონო მასკ, ჩვენც, ქართველებასაც გვაქვს გამოგონებული ფანტასტიკური პრეპარატი „ბიორაგი" (ავტორი – ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ გახოკიძე). იგი ჩვენი პლანეტის გადარჩენის ეჭვმიუტანელი გზაა. მისით დამუშავებული მცენარის თესლიდან აღმოცენებული ბოსტნეული, მარცვლეული, ხეხილი, 10-ჯერ, 100-ჯერაც პროდუქტიულია; მის მიერ მოცემული ნაყოფი აბოლუტურად უვნებელია ადამიანის ორგანიზმისათვის, პირიქით, სპობს ონკოლოგიურ თუ სხვა პრობლემებს, ახანგრძლივებს ადამიანის სიცოცხლეს. ბიორაგით ნასაზრდოები მცენარის ვარჯი წარმოუდგენლად ხშირი და ვრცელია, გამოყოფს დიდი ოდენობით ჟანგბადს და ასევე შთანთქავს ბაიდენის მიერ ლობირებული ავტომობილების გამონაბოლქვს. ეს არის სრული გარანტი დედამიწის $1^0$ დათბობით შეშინებული გლობალისტების საყურადღებოდ, რადგანაც მსგავსი რამ იხსნება დღის წესრიგიდან – „ბიორაგით" აღმოცენებული ფლორა სპობს უდაბნოებს, ქვიშას გარდაქმნის სიცოცხლის მომნიჭებელ ნიადაგად. დარწმუნებული ვართ, ბატონო, მასკ, რომ „ტესლა" და „ბიორაგი" დიოსკურებივით, ტყუპისცალი ძმებივით იხსნიან ჩვენს პლანეტას მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფისაგან და მიანიჭონ მას აურაცხელი სიკეთე – ცხოველმყოფელობა გონიერი ცივილიზაციის საუკვდავოდ".**

მივწერე, მაგრამ, მერე რა?! რამდენი განუხორციელებელი „მაგრამ" წკავწკავებს ჩვენს გარშემოწერილობაში დასაბამიდან მოყოლებული დღემდე?!

ახლა დავაკვირდეთ, შეიძლება თუ არა ოლიგარქად მივიჩნიოთ **მასკი?** კი, ბატონო, იგი უამრავი ასპექტით ამ კლანის ტიპიური წარმომადგენელია, თუმცა ამავდროულად, პროგრესული გონების ადამიანი, რომელსაც კაცობრიული ცივილიზაცია უკეთესი მომავლისაკენ მიჰყავს. აქედან გამომდინარე, საცოდაობაა მას ირონიით შოლტავდეს ჯო ბაიდენი, თავად რომ გახლავთ დრომოჭმულობის, მავნებლობის სიმბოლო. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, იგი ამუხრუჭებს დედამიწის იდეალების მსახურ ოლიგარქს. მხოლოდ ნაწილობრივ, ისიც აგრესიული ოლიგარქიის თვალსაწიერიდან, რომელშიც მოიაზრებიან **სოროსის ყაიდის** „ადამიანები" **(აქ ადამიანი წინწკლებშია ჩასმული, ვინაიდან ასეთებს ადამიანებს ვერც კი უწოდებ, ისინი წმინდა გიორგის სამკურნალო ურჩხულები გახლავან** – ვითომ საინტერესო პროექტების განხორციელებით დაკავებულები, სინამდვილეში გააცნობიერეს მათთვის შემოთავაზებული იდეები, მიისაკუთრეს უკლებლივ და სახეცვლილებით განხორციელებულ საკუთარი ფინანსური წყაროების გასაძლიერებლად. სოროსი და მისთანები



აფინანსებენ ანტიკაცობრიულ პროგრამებს, როგორიცაა: ეთნოკონფლიქტები; ვითომ თავისუფლების სახელით მოჯლავანე სექსუალური უმცირესობის ხალხი, მაგრამ გვითქვამს, პარალელურად არსებობს ჰუმანური ოლიგარქიაც, ბატონი ბიძინა ივანიშვილის თავკაცობით, ვისთვისაც ყველაზე მთავარი ფასეულობა **სამშობლოა,** მამულის სასიცოცხლო ინტერესების სამსახური, სიკეთის ქმნადობა, კაცობრიობის ყველაზე მართალი რელიგიური აღმსარებლობის – მართლმადიდებლობის სადარაჯოზე ყოფნა, სამების ტაძრის აღმშენებლობა (სხვა მრავალ ათეულთან ერთად), კაცობრიობის ისტორიაში პირველად დენდროლოგიური პარკის შექმნა რამსაარის პროექტის ფარგლებში; დიახაც, მისმა ძალისხმევამ ეკოლოგიურ (და მასთან ერთად, სოციალურ-პოლიტიკურ) გაჩანაგებას გადაარჩინა კოლხეთი, 600 000 ლაზიკა ქალაქის მშენებლობის შეჩერებით ანაკლიის ტერიტორიაზე. ამ დენდროლოგიურ პარკში თავი მოიყარეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გადმონერგილმა, მშვენიერების განსახიერება ხეებმა. ხოლო მათ მესაკუთრეებს მიღებული სახსრებით საშუალება მიეცათ ღირსეულად დასახლებულიყვნენ, წელში გამართულიყვნენ ერთხელ და სამუდამოდ. განსაკუთრებით ყურადსაღებია ჩვენთვის საქართველოს სინამდვილეში არსებული და დროთა ვითარებაში გადაშენებული ხე-გვიმრების აღდგენა-რეამინაცია შეკვეთილში, მათი ათეულობით ეგზემპლარის მოშენება ამ უნიკალურ სივრცეში, რომელიც საქართველოს სულიერი ამაღლების ეზოთერული სიმბოლოა! შეიძლება თუ არა ამისთანა პიროვნებას ოლიგარქი ეწოდოს დამაკნინებელი ნიუანსებით?! ცხადია, არა! ოლიგარქიული ფინანსური წყაროები, რომელიც მიმართულია სიკეთის, სინათლის, მშვენიერისა და ამაღლებულის დასამკვიდრებლად, ვერ იქნება ოლიგარქიული, იგი უკვე თავისი ჰუმანური ხასიათით დემოკრატიული ფულადი რესურსია და გლობალისტურ, რეაქციულ ძალებს ისღა დარჩენიათ, სასუნთქი წყაროები გადაუკეტონ მსგავს ძალისხმევებს. აღიარა თუ არა უმთავრეს ფასეულობად **სამშობლო** აკადემიკოსმა **ფრიდონ თოდუამ** ონკოლოგიის მკურნალი თავად დაასნეულეს ონკოლოგიის ბაცილით, და გზიდან მოხერხებულად ჩამოიშორეს. მოკლედ, ჩვენ დავადგინეთ, რომ **დეოლიგარქია ნიშნავს ოლიგარქიული ფულადი რესურსები გაუყინო მაგნატს, რომელიც ამ თანხებს პროგრესულ პროექტებში აბანდებს – მასკს ეკოლოგიურად უსაფრთხო „ტესლას" ელექტრომანქანების წარმოებისთვის; რამაზ გახოკიძეს გასაქანი არ მიეცეს დედამიწის გადამრჩენელი „ბიორაგის" მასობრივად დანერგვის გზაზე; ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მეურვეობისათვის შლაგბაუმი აღემართოს, რომელიც ზნეობრიობის მარგალიტია მთელს პლანეტაზე.**

გლობალისტები ჭეშმარიტ ოლიგარქებად ვარაუდობენ იმ მილიარდერებს და მულტიმილიონრებს, რომლებიც მსოფლიოს სთავაზობენ ანტიკაცობრიულ პროექტებს: შიდს, კოვიდს, გენმოდიფიცირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, გამოცდიან ატომურ ენერგიას ნევადაში, სემიპალატინსკში, იწვევენ საზოგადოებრივ აშლილობებს რუსეთ-უკრაინის ძმათამკვლელი კონფლიქტის სახით, სირიასა და ირანის, კოსოვოსა და სერბეთის, ავღანეთისა და ერაყის გაუგონარ კაცთაჟლეტვებს, ასე შემდეგ და ასე შემდეგ; აფინანსებენ პორნოგრაფიას და პროსტიტუციას, ამკვიდრებენ უგემოვნებას და გამოყეყეჩებას „საბას" პრემირებულ „მწერლებით", ამუხრუჭებენ ჭეშმარიტ ცოდნას და სანაცვლოდ აწინაურებენ უნიჭობა-უვიცობას.

ეს ყველაფერი კარგად აქვს დანახული სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პოლიტოლოგიის დოქტორს, ბატონ **ზურაბ ხონელიძეს** წიგნში **„ქართული მშვიდობის პარადიგმ**ა“. მისი მიზანია განათლების პროფანიზაციის მკაცრი მხილება ჭეშმარიტი, გონიერი შემეცნებითი ატმოსფეროს შესაქმნელად მოზარდ და სტუდენტ-ახალგაზრდობაში, რომელიც დროთა ვითარებაში უნდა მოგვევლინოს პოლიტიკური ბრძოლის ავანგარდად.

აი, როგორი აღმოჩნდა დეოლიგარქიის ნამდვილი არსი. ყველაფერი ეს ნათლად დაგვანახებს ევროკავშირის 12-პუნქტიანი ზოდიაქოს კაპრიზებს, რომელიც ევროპის „სახალხო პარტიის“ მიერ „ქართული ოცნებისათვის“ თავსმოხვეული მორიგი კოჰაბიტაციაა. კოჰაბიტაცია-1-მა ვერ უშველა დანაშაულებრივი „ნაციონალური“ კლანის რესტავრაციას. და, აი, შეუიარაღებელი თვალით ვხედავთ, საჭირო ხდება კოჰაბიტაცია-2-ის – იგივე ევროკავშირის 12-პუნქტიანი დემაგოგიის ამოქმედება უფრო ხელშესახები პოლიტიკური შედეგების მისაღწევად. ზოგი ჭირი მარგებელიაო, თქმულა: რომ არა კოჰაბიტაცია-1, „ქართული ოცნება“ ვერაფრით შეძლებდა მის ორგანიზმში ჩასახული მომაკვდინებელი ბაცილის გამკლავებას ანტიადამიანური



„ნაციონალური მოძრაობის“ სახით. დიახ, კოჰაბიტაცია-1-მა გამოავლინა იგი და „ქართულ ოცნებას“ (ბატონ **ირაკლი ღარიბაშვ**ილი) შეაძლებინა ხმამაღლა განეცხადებინა: **სახელმწიფოს წარმმართველი ძალაა ქალისა და კაცის ერთობლიობით შექმნილი ოჯახიო**. ეს იყო და არის მომაკვდინებელი დარტყმა ეგრეთწოდებული გლობალისტების მიმართ. (მათი არსი რომ გაირკვეს, მკითხველებს ვურჩევთ ინტერნეტსივრცეში მოიძიონ ფაილი სათაურით: **referativo. Ru/ka... 09.04. 2022. „რას წერდა დოსტოევსკი ებრაელებ**ზე“). სიონისტური იდეებით შეპყრობილი ეს გლობალისტები კაცობრიობის განვითარების ავადმყოფურ იდეას არიან ჩაბღაუჭებულები – ერთპოლუსიან მსოფლიოს, ერთბოლოიან ჯოხს, რომლის მსგავსი რამ ბუნებაში არც კი არსებობს. მსოფლიოში ყველაფერი ორპოლუსიანი: დედამიწა, ადამიანი – ქალისა და კაცის ერთობლიობით. ორივე მათგანს გააჩნია ფარული ფორმით თავიანთი სქესის საპირისპირო ბუნება ფარულ ფორმაში. მასკულინუმ, მამრი გამოხატულია გარეგნულად მამაკაცის ნიშნებით, მაგრამ ამავდროულად ქალური ბუნება მასში ჩანასახურადაა მოცემული. ასევეა ფენიმინუმთან, მდედრთან, მისი ფიზიონომია-ფიზიოლოგია გარეგნულად გამოკვეთილია დედაკაცის ატრიბუტიკით, მაგრამ მამაკაცური საწყისებიც მოეპოვება ემბრიონულ ვითარებაში.

ანტიკაცობრიულ ოლიგარქებს სწადიათ ამ კანონზომიერების დარღვევა, როგორც გასული საუკუნის ორმოციან წლებში მოხდა ატომგულის გახლეჩა და კაცობრიობის მომაკვდინებელი ენერგიის გამონთავისუფლება მისდა საზიანოდ. ამ ავადმყოფურ კასტას ხელს აძლევს პიროვნება ერთდროულად იყოს: კაციც და ქალიც, ბისექსუალი, ანუ მოხდეს ინდივიდუუმის გაორება და საბოლოოდ – სრული ნიველირება! დიახ და დიახ! სწორედ აქ მარხია, ანტიკაცობრიული ოლიგარქიის გაცხარებისა და მძვინვარების საიდუმლო. მისი მიზანია, რაც შეიძლება მეტი სოციალ-პოლიტიკური აშლილობები; რაც შეიძლება მეტი სექსუალური აღრეულობები ინცესტებითა და დეზორიენტირებული ჰიჯრებით; რაც შეიძლება მეტი ნარკომანიითა და ალკოჰოლიზმით გაბანგული ახალგაზრდა თაობა, მათი გამოთაყვანებები აბსურდული ტატუთი და დაფლეთილი სამოსლით, როგორც უარყოფითი რეაქცია კლასიკური ნორმებისადმი; „საბას“ ნომინირებულ დეგრადირებულ „მწერალთა“ უნიტაზური მოღვაწეობა და მისთანათა მეშვეობით კაცობრიობის ნამდვილი შემოქმედის, მშრომელი მასების და საზოგადოების გაბანგვა, რათა არასდროს დაებადოთ გონებაში რატომ, რის გამო არიან ამისთანა სავალალო მდგომარეობაში; არასდროს გაუჩნდეთ პროტესტი, რისთვის გააჩნია ოლიგარქიულ მსოფლიოს პლანეტა დედამიწის საარსებო რესურსების ორი მესამედი და რისთვის ვერ გამოღწეულან მათხოვრული მდგომარეობიდან ამ ყველაფრის შემქმნელი 99 პროცენტი მშრომელი მასები. გავა დრო და ამ ყველაფრისთვის უფრო ჩახედულად მოიცლიან კაცობრიობის მოაზროვნე თავები. ხოლო მაოხრებელი ზელინსკებია ისინი, სოროსები თუ ბაიდენები დავიწყებას მიეცემიან. პარადოქსია, ევროკავშირის კანდიდატად სახელდება კუდის რიკამდე გაპარტახებული უკრაინა და აქ ერთადერი არგუმენტი მისი საომარი მდგომარეობაა სექსუალურ უმცირესობათა უფლებების მოდარაჯეობის ფონზე.

**ალენ დალესის** და მისთანათა დოქტრინით მსოფლიო ბატონობის მიღწევა შესაძლებელია ოქროს ფლობითა და მასმედიის – პრესისა და ტელევიზიის კონტროლით. იგივე დალესი იტყვის: „ჩვენს ჩანაფიქრებს მიუხვდებიან გონებაგახსნილები, ისინი შეეცდებიან ამ ყველაფრის მხილებას, მაგრამ ჩვენ მათ ისეთ დღეში ჩავაგდებთ, ანუ იმისთანა ხმებს დავუყრით, რომ თავ-ბედს იწყევლიდნენო“. ისეთი რა უნდა დაგვწამონ, რაც დღემდე არ დაუწამებიათ?! ისეთი რა სამსალა უნდა შეგვასვან, რაც დღემდე არ შეგვისვამს?! ჩვენ უნდა ვიყოთ პრინციპით: **მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა**. ჩვენ უნდა ვიყოთ დოქტრინით; **მართალი კაცი ქვაზე მაგარია! მოვიდნენ, ბატონო და ვნახოთ, რა ფეხებსაც მოგვჭა**მენ! ჩვენ მზად ვართ პოლიტიკური კონსენსუსისათვის, საღად მოაზროვნე ელექტორატთან და არა დანაშაულებრივ რამდენიმე ათეულ ლიდერთან. კი, ბატონო სრულ მიტევებაზეც იყოს საუბარი, ოღონდ დანაშაულებათა აღიარებისა და წრფელი მონანიების შემდეგ! ჩვენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის ვითმენდით და მოვითმენთ ნებისმიერ დამამცირებელ კურტანს, ერთი მაგალითის სიცხადით:

რომელიღაცა გემის კოკს, იგივე მზარეულს, ამხანაგები ბათინკებში უშარდავდნენ. აბუჩად აგდების ნიშნად. ეს უკანასკნელი ხმას არ იღებდა, თვინიარედ განაგრძობდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ჰკითხეს ერთხელ:

– ნუთუ თავმოყვარეობის ნატამალი არ გაგაჩნია, როგორ ითმენ ამდენ შეურაცხყოფასო?!

– ჩვეულებრივად, – უპასუხა მან, – ის შარდი თქვენთვის მომზადებულ ყუათიან ბორშჩია უდანაკარდოდ დართულიო.

დაბოლოს, ცხოვრების გართულების კვალობაზე, კედელთან მიმწყვდევის მცდელობას ადრე თუ გვიან მოჰყვება ხალხის სასოწარკვეთილი ნაბიჯის გადადგმა. ტრანსატლანტიკურ სივრცის უპერსპექტივობით გაწბილებმულმა ქართველობამ, გამორიცხული არ არის ხელი გაიწოდოს „გეორგევსკის“ ტრაქტატის რესტავრაციისკენ, დევიზით: სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს!

**გური ოტობაია,**
მწერალი

რეპლიკა

# მისის კელი დეგნან, დროა, სახლში დაბრუნდეთ!



მისის კელი დეგნან,
დროა, სახლში დაბრუნდეთ!

სანამ ჩვენს ქვეყანაში დონალდ ტრამპის ხელმოწერილი უსტარის მიხედვით მსახურობდით, თითქოს არაგიშავდათ, თითქოს სწორ გზას ადექით, მაგრამ როგორც კი აშშ-ში ძალაუფლება მისტერ ჯოზეფ რობინეტ ბაიდენმა გადაიბარა, რამსები აგერიათ!

გახსოვთ?

როცა თქვენი პრეზიდენტი მისტერ ჯოზეფი გახდა, რამდენიმე თვე სრულ გაურკვევლობაში იყავით - გეგონათ, საქართველოდან გაგიწვევდნენ და თქვენს ნაცვლად სხვას გამოაგზავნიდნენ.

გვახსოვს!

მაშინ ხელისუფლების წევრებთან ერთად დარბოდით აღმა-დაღმა - ხან ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებს გადაჰყურებდით ნაპოლეონ ბონაპარტივით, ხან მალინას კრეფდით და პლანტაციებს აკვირდებოდით ივანე მიჩურინივით.

ამას აკეთებდით იმიტომ, რომ თქვენზე ლეგენდები შექმნილიყო, თქვენ გჭირდებოდათ მზრუნველი „დედოფლის“ იმიჯი და ამას მიაღწიეთ კიდევაც - იმ პერიოდში ხშირად გვესმოდა ტელევიზიით, რომ თურმე ძალიან გაგვიმართლა, თურმე ასეთი ბრძენი, ჭკვიანი ელჩი აქამომდე საერთოდ არ გვყოლია.

როგორც ჩანს, თქვენზე შეთხზულმა ლეგენდებმა აშშ-მდე ჩააღწია და აღარ „მოგხსნეს“ კაი თბილი სამსახურიდან. არ ვიცი, შეიძლება მისტერ ჯოზეფს აღარც გაახსენდით, ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, გადარჩით!

ჩვენ კი... როცა ე.წ. ოპოზიციონრები (ახლა რომ ეკურკურებით და მათ ავანტიურაში ხართ ჩაბმული) სულელს გეძახდნენ, თავებს ვიგიჟებდით, კბილებით გიცავდით, ნამუსსა გწმენდით და ლამის სანთლებს გინთებდით.

ასეთი გულუბრყვილოები ვართ ქართველები - საკმარისია, ვინმეს ჩვენი მოყვანილი მალინა მოეწონოს, ზედ გადავყვებით, ვენებს გადავიჭრით, სტრატეგიულ და-ძმობას გამოვუცხადებთ.

ეგეთი ზნე გვჭირს, ვერა და ვერ გამოვსწორდით!

ახლა კი - რა?

გამოდიხართ დილა-საღამოს რამსებარეული და მოგვიწოდებთ, რუსთაველის ქვეყანაში უწიგნურ ნინო ლომჯარიას დავუჯეროთ!

გარდა ამისა!

ჭკუაზე გვარიგებთ, გრაფიკს გვიწესებთ!

საქართველოს პარლამენტის წევრმა, მიხეილ ყაველაშვილმა მოგმართათ და აცხადებთ, იქ ბევრი ტყუილი ეწერა, ბოლომდე ვერც წავიკითხეო. თურმე არ მოგეწონათ, თურმე შუბლში ხელი იტკიცეთ და ყაველაშვილის წერილი ნაგვის ურნაში მოისროლეთ. დარწმუნებული ვარ, ასე იქნებოდა!

კელი დეგნან, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, დროა, სახლში დაბრუნდეთ!

ერთ ვედრო მალინას აეროპორტში დაგაწევთ.

სახელმწიფო დეპარტამენტს სთხოვეთ, ისევ პალაუს რესპუბლიკაში გაგაგზავნონ, სადაც აქ ჩამოსვლამდე მსახურობდით. იქ 328 კუნძული ყოფილა, ერთ-ერთი ჩაგაბარონ.

რაღა დაგიმალოთ და... თქვენ ვერ დაიმსახურეთ ქართველი ხალხის ნდობა და სიმპატია, თქვენ საქართველო ვერ შეიფერეთ!

საქართველოში გადატრიალება და ომი აღარ იქნება!

სუუუუულ კააააргად ბრძანდებოდეთ!

რეპლიკა ცხელ
გულზე დაწერა
**გელა ზედელაშვილმა**
555 48 48 61



# საიქიოდან გამოგზავნილი ფულები, ანუ არგასაზრდელთა „პარადი“

## განმაცვიფრებელი და გამაოგნებელი ამბავი

მე მთელი ცხოვრება ვამტკიცებ, რომ საქართველო განსაკუთრებული ბუნებით გამოირჩევა... ჩვენი მიწა, ჩვენი წყალი, ჩვენი მთა, ჩვენი ბარი და ცის კაბადონიც კი რაღაცნაირია, განმაცვიფრებელი და გამაოგნებელი. მეტიც, ეს ერთადერთი ადგილია დედამიწის ზურგზე, სადაც საიქიოდან გამოგზავნილი ფულები ყოველგვარი დაქვითვის გარეშე მოდის - არც საშემოსავლო, არც მოგების გადასახადი, არც დღგ, არც არაფერი.

ესე იგი, მოდის და მოდის... ზოგს სოლიკო უგზავნის, ზოგს - ოლიკო!

აგე, ხოშტარიებს (გოგიას და ჰელენ-ლიაკას) ისევ ჩარიცხვიათ პაპაი გადმოგზავნილი ფულები და უძრავი ქონებაც უყიდნიათ 30 ათას დოლარად ორბეთში - მიწა!

იყიდიან, რათ არ იყიდიან რა! ნეტა ეგეთი გამეტებული წინაპარი ყველას გამოუჩნდებოდეს, გარდაცვალების შემდეგაც რომ



არ ისვენებენ და შთამომავლებზე ზრუნავენ!

აბა, პაპაჩემია, ერთ კაპეიკსაც რო არ აგზავნის? დაადო თავი 1941-ში, შემოიცვა „ტელეგრეიკა“, წავიდა ომში და მას მერე აღარ გამოჩენილა. ჰონორარი კი არა, სამკუთხედათ გადაკეცილი წერილიც არ გამოუგზავნია. საფრანგეთში, ლევილის სასაფლაოზე კი იძებნება ერთი იმ გვარ-სახელის კაცი, მაგრამ მე რა ვიცი, ის არი? თუ თვითონ არ გამოაგზავნა ჰონორარი, რა გავიგო, რა გავარკვიო?!

ისე, რაც მართალია, მართალია... ხო გაკეთდნენ ხოშტარიები (ესენი თურმე 25 წელიწადი კეთდებოდნენ), მაქაროვები და სხვები რუსული გოჭებივით, ჰა?

გაკეთდებიან, რაზე არ გაკეთდებიან, ქართული ბუნება შეუშლით ხელსა თუ გონება, მისწრაფება და წეს-ჩვეულება?!

უკაცრავად, რაც ზემოთ მოგახსენეთ და რაც პაპაჩემზე ვთქვი, ხუმრობა იყო, ვიხუმრე, გესმით?

### ახლა კი სერიოზულად!

რუსული ფულები საიქიოდან გოგია ხოშტარიას სახელზე მოდის. თავად გოგია ამტკიცებს, ჩემი შვილი ჰელენი არაფერ შუაშია, 25 წელიწადია ეგრე ხდებაო. მე ცოტაოდენ ეჭვი მეპარება და რატომ, ახლავე მოგახსენებთ: თუ 25 წელიწადია გოგია ხოშტარია რუსეთიდან მილიონებს იღებს, რატომ გაუჩნდა აზრი, მხოლოდ ახლა ეყიდა ბათუმში ბინა და ორბეთში კიდევ მიწა? რატომ აუჩუჩუნდა ბებერ გოგიას მხოლოდ ახლა-მეთქი? საქმე ის არის, რომ ბატონმა სოლიკო ვირსალაძემ საიქიოდან ფულების გამოგზავნა მაშინ დაიწყო, როცა რუსეთის სპეცსამსახურებიდან დაავალეს. დიახ, დაავალეს და იმანაც ეგრევე დაიწყო გამოგზავნა, რა უნდა ექნა? არ გამოაგზავნიდა და ამოთხრიდნენ. 25 წელიწადი რომ გოგიას მოგონილია, ეგ ჩემი ვერსიაა, ამდენი ხანი კაცს მილიონობით რუბლი ერიცხებოდეს, მხოლოდ ახლა არ აყვავდებოდა წყალზე მოტივტივე ნეხვივით, აქამდეც შეიძენდა რამეებსა და რუმეებს! თუმცა შეიძლება ვცდები, არ გამოვრიცხავ, ეს ნამინისტრალი მუთაქებშიც აგროვებდეს ოქროს უზალთუნებს. ეს ჯერ კიდევ მინისტრობის პერიოდში გაიყიდა და გაქსუვდა საკუთარი სამშობლოდან. ამ უბედურმა იმ ხელისუფლების წინააღმდეგ აიღო ხელში იარაღი, სადაც თვითონ იმყოფებოდა საგარეო თვალსაზრისით. როგორი საგარეო „ტრიუკებიც“ ჩაატარა 1990-იან წლებში, იმ დროის მომსწრე ადამიანებმა მშვენივრად იციან. ის პერიოდი მეც კარგად მახსოვს, მაგრამ კულუარებში არ ვყოფილვარ, ვინც იყო, ისინი ამბობენ, საზღვარგარეთ საქვეყნო საქმეების საკეთებლად კი არა, ჭინჭების ჩამოსატანად დადიოდაო. მეტიც, ამ კაცს ისეთი რამ უთქვამს ზვიად გამსახურდიაზე, ცოდვას ვერასდროს გაექცევა. ამერიკაში მცხოვრები, მიხეილ სააკაშვილის მოტრფიალე პროფესორი დოდონა კიზირია იხსენებს: „როცა ზვიად გამსახურდია თავის გარემოცვასთან ერთად თბილისიდან გააძევეს, ტელევიზიის შენობის მესამე სართულის კიბეზე გოგი ხოშტარია დავინახე, ამ დროს პირველი სართულიდან ზემოთ ამოდის კინორეჟისორი გიორგი შენგელაია, როგორც ყოველთვის მოღუშული და დაბღვერილი. რა ქენი, ბიჭო, ცოცხალი როგორ გაუშვი?! – უყვირის გოგი ხოშტარია ზემოდან გიორგი შენგელაიას. უკან გავბრუნდი. ვიგრძენი, რომ სახეში ვერ შევხედავდი და ვერ დაველაპარაკებოდი. ახლა კი ვნანობ, რომ ეს სისუსტე გამოვიჩინე, მაგრამ ყუმბარასავით ამიფეთქდა ყურში სიტყვები: „ცოცხალი როგორ გაუშვი“?!

გავიდა წლები და გოგი ხოშტარიაც „ნაციონალების“ მოტრფიალე გახდა. ახლა ვეკითხები ქალბატონ დოდონას: აი, სიტყვები რომ აგიფეთქდათ თავის დროზე ყურში ყუმბარასავით, რანაირად მოხდა, რომ თქვენ და ეს უხსენებელი ერთ ბანაკში ხართ? როგორ მოხდა, რომ ამ ადამიანთან ერთად, რომელიც ასერიგად გეზიზღებოდათ, ერთპარტიულ ჰაერს სუნთქავთ?!

როგორც „ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე ყვება, თავის დროზე გოგი ხოშტარია კგბ-მ ჩანერგა ზვიად გამსახურდიას გარემოცვაშიო, ამის შესახებ თვითონ ზვიადმა მითხრაო. ხოლო მისი საგარეო საქმეთა მინისტრობიდან გათავისუფლების ერთ-ერთი მიზეზი ყოფილა ის, რომ მინისტრმა კაცმა უცხოეთიდან ე.წ. აჟურული კოლგოტები ჩამოიტანა და ჰყიდდა გადამყიდველების მეშვეობით. ბრეგაძის თქმით, თურმე მაგას ეძახდნენ „შტერ გოგიას“:

„გოგი ხოშტარიამ მონაწილეობა მიიღო კანონიერი ხელისუფლების დამხობაში. იმ დროიდან ერიცხება თანხა, როგორც რუსეთის აგენტს. ადრე კგბ იყო, ახლა ფეესბეა. სხვადასხვა ფონდებიდან, სპორტული თუ კულტურული საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან ურიცხავენ თავიანთ აგენტურას ფულს, ეს აპრობირებული მეთოდია“.

იცით, კიდევ რატომ ამოაწევინეს ტოპრაკა გოგი ხოშტარიას მინისტრობიდან? მირიან ყარაულაშვილის თქმით: „ეს სირი 1991 წელს საფრანგეთში ჩავიდა რომელიღაც ემიგრანტის კერძო მოწვევით. იმ საღამოს კარგად მოულხინა ემიგრანტი ძმების - აპოლონ და თარხან ანთაძეების ქართულ რესტორანში. მეორე დღეს ნაბახუსევზე ქუჩის ტელეფონ-ავტომატიდან საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მისაღებში დაიწყო რეკვა, დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ვარ, ოფიციალურ ვიზიტით ჩამოვედი, მიღება მომიწყეთო“.

მიუხედავად ამდენი ცოდვიანობისა და არნახული ცუცურაკობისა, ხოშტარიები აქეთ იბრიქებიან, აქეთ პრეტენზიულობენ... აი, არ დაიჯერებთ, ჰელენ გოგიევიჩი (რადგან ჰელენში კაცური უფრო მეტია, ამიტომ გოგიევიჩს ვეძახი) ითხოვს, საქართველოში ბიძინა ივანიშვილის გარდა სანქციები კიდევ სამ მაღალჩინოსანს დაუწესდეს - ესენი არიან: სუს-ის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური და ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის თანამშრომელი, კობა კობიძე. თურმე ეს სამი ადამიანი ამყარებს და ასაზრდოებს ივანიშვილის ოლიგარქიულ მმართველობას. არა, ფაქტები არ არსებობს, ეს ზოგადი, ანუ სიმბოლური ვარაუდია, მაგრამ რაკი რუსეთის აგენტი „ლიაკა“ ამბობს, ყურადსაღებია - საერთოდ, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების აგენტებმა ძალიან ბევრი იციან, ყოველ შემთხვევაში, ჩვენზე მეტი. ვხუმრობ. სადაც სამართალი და მორალია, ეს ადამიანი თავის მამასთან ერთად სადმე მოფარებულში უნდა იმალებოდეს. ჰმ... იმალებიან კი არა, პირიქით იქცევიან, აქეთ გვადანაშაულებენ, ყველას „დასანქცირებით“ და „დაბოქლომებით“ გვემუქრებიან. მერე რა, რომ ფული რუსეთიდან მოგვდის, ეს ხომ სოლიკო ვირსალაძის გამოგზავნილია საიქიოდანო? - აცხადებს ბატონი გოგია და თან „იმედის“ ჟურნალისტსაც აგინებს, წადი, შენი დედაცო! ჟურნალისტმა დაურეკა, ორბეთში მიწის ნაკვეთი მართლა შეიძინეთო? შვილიშვილის ტოლ გოგოს ეგრევე მიახალა, წადი, შენიო. მართლა უზნეო ადამიანი ყოფილა გოგია ხოშტარია, უზნეო და... როგორც ცხონებული შაქრო პაპა იტყოდა ხოლმე, არგასაზრდელი, მიწას არასაცილებელი!



ვიმეორებ: 1938 წელს დაბადებული კაცი რომ 2000 წელს დაბადებულ ბაღანეს შეაგინებს, თანაც გოგოს, ის არის ამორალური და გახრწნილი პიროვნება. აქედან გამომდინარე, მჯერა (ალბათ თქვენც გჯერათ), ის მართლა იტყოდა ზვიად გამსახურდიაზე, ცოცხალი რატომ გაუშვითო?!

### სირცხვილი და თავის მოჭრა!

ადამიანს, რომელსაც ასეთი სამარცხვინო რამე აქვს ნათქვამი, ის გარეთ თამამად ვერ უნდა გამოდიოდეს. მე იმას არ ვამბობ, ვინმემ ანგარიში უნდა გაუსწოროს-მეთქი, არა, უბრალოდ ვერ უნდა ბედავდეს და მით უფრო, ტელევიზორიდან ჭკუას ვერ უნდა გვარიგებდეს. სამწუხაროდ, ესენი, ხოშტარიები და მათნაირები უფრო გონორით ლაპარაკობენ, ვიდრე ჩვენ, ვიდრე თქვენ, ვიდრე სხვა, ჩვენზე და ჩემზე პატიოსანი ადამიანები. ისევ ამათ აქვთ საშუალოზე მაღალი ხმა, მაღალ ხმაზე უფრო მაღალი ხმა და ყოველთვის დამრიგებლური ტონი, თანაც თავხედური. ამათ ჰგონიათ, არავის არაფერი ახსოვს და არავინ არაფერი იცის. სასაცილოა პირდაპირ, მოსდით და მოსდით ფულები საიქიოდან, ყიდულობენ და ყიდულობენ უძრავ ქონებას, იქით ბინებს, აქეთ მიწებს, გეგონება ჰოლივუდის ვარსკვლავები გვყავანან. სოლიკოს ჰონორარებს ვიღებთო, რაში გვაინტერესებს, რუბლია თუ დოლარიო? სხვას რომ რუბლი დაუნახონ, დედამიწას შესძრავენ, ქვეყანას შეჰყრიან, არიქა, რუსეთუმეები შემოგვესივნენო. კიდევ რა გითხრათ? უნამუსობის პიკია საქართველოში, უნამუსობისა და ჩათლახობისა!

არა, მომკალით და მაინც მიკვირს, ამ პატარა ქვეყანაში ამდენი გაქსუებული საიდან? წლები გადის, საუკუნეები გადის, მოღალატეთა რაოდენობა რატომ არ მცირდება?!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# მინდა ვამცნო საზოგადოებას – საქართველოს მოღალატეთა არმიას დღეს ჰყავს სამი ბელადი: დეგნანი, ლომჯარია და ზურაბიშვილი

*გვესაუბრება*
*ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი,*
*მამა ბასილი მკალავიშვილი.*

**— მამა ბასილ, გასულ კვირას, სამწუხაროდ, უარი გვითხრეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსზე და 12-პუნქტიანი გეგმაც შემოგვთავაზეს შესასრულებლად. რას იტყვით, მიგვიღებენ ამ პუნქტების შესრულების მერე?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა.

ჩვენთან არს ღმერთი.

ჩემო კარგო, მუდამ ვიმეორებ და ახლაც ვიტყვი, მე პოლიტიკოსი არა ვარ, მაგრამ როგორც მრავალჭირვარამგამოვლილი ადამიანი და ღვთის მსახური, სულიერი ხედვით აღვიქვამ მიმდინარე მოვლენებს და, გარკვეულწილად, ვხვდები, მომავალში რაც უნდა მოხდეს.

სასაცილოა და სატირალი, რომ სააკაშვილის კვების დღის რეჟიმიდან ევროკავშირში გაწევრიანების პრობლემებისკენ გადავინაცვლეთ. მაგრამ, მოდით, ნუ ვიქნებით, თვითდამშვიდების რეჟიმში და რეალურად შევხედოთ ყოველივეს.

გავიხსენოთ 2008 წლის საშინელი ომი. სად იყო მაშინ ევროპა? სამწუხაროდ, მას თავისი მიზნები აქვს საქართველოში. ევროპის ზოგიერთი მავნე წრეების მთავარი სამიზნე ჩვენს ქვეყანაში სარწმუნოება, ქართველობა და ტრადიციებია, რომელთა გაცამტვერებით ცდილობენ, საქართველო მაჩანჩალა სატელიტად და დაპირისპირებების პოლიგონად აქციონ.

იმ 12-პუნქტიან დავალებებში ერთ-ერთი უპირველესი სექსუალური უმცირესობების დაცვა და მათი გამოხატვის თავისუფლებაა, რათა საქართველო ზნედაცემულთა ბუდედ აქციონ.

მინდა ვამცნო საზოგადოებას— საქართველოს მოღალატეთა არმიას ჰყავს სამი დასავლეთიდან მართული ბელადი: ამერიკის ელჩი კელი დეგნანი, ერის მოღალატეთა უფლებების დამცველი ნინო ლომჯარია და საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი. მათი ოცნებაა, რაც შეიძლება მალე მოხდეს სახელმწიფო გადატრიალება, რათა ხელისუფლებაში მოვიდნენ სასურველი პირები, გახსნან მეორე ფრონტი და საქართველო აღიგავოს პირისაგან მიწისა. თქვენ წარმოიდგნიეთ, თუ ეს სამეული მიზანს მიაღწევს, დარწმუნებული იყავით, ჩვენი ქვეყანა სოდომისტთა ეპიცენტრად გადაიქცევა. აი, მაშინ კი ღმერთმა არ ინებოს, და წარიხოცება ყოველივე ჩვენს ქვეყანაში.

კელი დეგნანს ავიწყდება, რომ ის მოვლინებული არს უძველესი ტრადიციებს მქონე ქვეყანაში. ნაცვლად იმისა, რომ წყნარად იჯდეს და ელჩის მოვალეობას ასრულებდეს, ცდილობს ჩვენი ქვეყანა თავისებური მართვის რელსებზე გადაიყვანოს, რაც შეუძლებელია, ამიტომ უმჯობესია და ვურჩევ მას, სათავეში ჩაუდგეს თავის ზნედაცემულ მამათმავლებს და სადაც უნდათ, იქ გამართონ დემონსტრაციები, ოღონდ ჩვენგან ხელები შორს.

მოყოლებული 1912 წლიდან დაუმთავრებელი ჭიდილი მიდის სოდომისტებსა და მართლმადიდებლებს შორის.







ჩემის მოსაზრებით, უკვე დროა ხელისუფლებამ მიიღოს სახელწმიფო კანონი და ჩაიწეროს თეთრზე შავით, რომ ერის იდენტობიდან და ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ერი ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს განათლებული, არ მიიღებს აღვირახსნილობის დაკანონებას.

ზღვარსგადასულმა კოჰაბიტაციამ უფსკრულამდე მიგვიყვანა. დეგნანისა და დასავლეთის მონობა კი ერს გადაგვარებამდე მიიყვანს.

პირსისხლიან სააკაშვილს მასთან ჰარმონიაში მყოფი ეკლესია სახელოვან პრეზიდენტს უწოდებდა. სამწუხაროდ, ახლა ეკლესია ვატიკანისკენ მიისწრაფვის, ერი კი ევროკავშირის კარებთან მიჰყავთ გასაყიდ ხბოსავით...

ქართველი ხალხის უმრავლესობას არ სურს ისეთი ევროპა, რომელიც დაგვავიწყებს, რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით.

ხალხს არ სურს ისეთი ევროპა, რომელიც ჩვენს წინაპართა სისხლით ნაწერ ისტორიას ებრძვის, ებრძვის რწმენას, ებრძვის საუკუნეობრივ ტრადიციებს...

სხვათა შორის ევროკავშირიში გაწევრიანებს მთავარი მოთხოვნა ლგბტ-თა უფლებების განუხრელი დაცვაა და სწორედ ეს იყო მიზეზი უარისა.

ევროკავშირი ისეთ ქვეყნებს ეძებს, რომელთაც ადვილად დაიმორჩილებს. მოლდოვა და უკარაინა მათ ანკესზე წამოაგეს, რათა უკრაინა ამერიკის და ევროპის საომარ პოლიგონად ექციათ რუსეთის წინააღმდეგ და ასეც მოხდა. ახლა ცდილობენ, შინაურ მოღალატეთა საშუალებით აიძულონ საქართველო ომში ჩაითრიონ და ისეთი საბედისწერო ნაბიჯი გადაადგმევინონ, რომ საბოლოოდ დაღუპონ ქვეყანა დაამხონ არსებული მთავრობა.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურებაა, საქართველო რომ არ იბომბება, მაგრამ ვერ მოვუწონებ იმას, რომ მთაწმინდაზე ლგბტ-ების შეკრება გაიმართა. მათი ბინძური ფეხები არ უნდა შეხებოდა მამა დავითის წმინდა სავანეს.

ბატონო ირაკლი, ღმერთს მინდობილი ადამიანი ქვაზე მაგარია, მე, ერთი მღვდელი, ჩემი მრევლით ვებრძოდი მსოფლიო უკუღმართობას, ამერიკის კონგრესმენები კატეგორიულად მოითხოვდნენ ჩემს დაპატიმრებას; მაშინ დუმდა ერი და ბერი. ამის მიუხედავად, ჩვენ ვთქვით სათქმელი ღვთის წინაშე და, გარკვეულწილად, დავაბრკოლეთ უკეთურება. ახლა ჯერი თქვენზეა, გმირობის და თავგანწირვის გარეშე ისტორია არ იწერება, საქართველოს ისტორია კი უნდა დაიწეროს და ის არ უნდა შეწყდეს!

**— მამაო, მთავრობის სახლის წინ რომ აქცია გაიმართა „შინ ევროპისკენო“, ამაზე რა აზრის ბრძანდებით?**

— საზოგადოებას ასეთი უმიზნო, უგეგმო და არაფრისმთქმელი აქცია აქამდე არ უნახავს. შეკრიბეს ხალხი იმ მიზნით, რომ ევროპისთვის ეჩვენებინათ, როგორ მიილტვოდნენ მისკენ, მაგრამ, როგორც კი მიკროფონი და სცენა მოირგეს, მათი აქცია პოლიტიკურ ჭრილში გადავიდა. კერძოდ, წამოაყენეს საკითხები სააკაშვილისა და გვარამიას განთავისუფლების მოთხოვნით, ღარიბაშვილის გადადგომით და ბიძინა ივანიშვილის საქართველოდან გაწევევით.



ნიშნის მოგებით არ ვამბობ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს ჩემი ინტერვიუებით 2012 წლიდან ვურჩევდი, ჩამოეშორებინა ქვეყნის და მისი მოღალატეები, მაგრამ, როგორც ვხედავთ, საქმე აქამდე მივიდა. ამაზე ხშირად მახსენდება ბრძნული ხალხური გამოთქმა: „ვისაც ჩავაცვი, მან გამხადაო“...

რაც შეეხება აქციას, მას მართავდნენ სამი პარტიის წევრები: მიხეილ სააკაშვილის სატანური სექტის წარმომადგენლები, გიგა ბიკერია და ჩერგოლეიშვილი და „სირცხვილია“. სამივეს, როგორც ხარს წითელი ნაჭერი, ისე აღიზიანებთ მართლმადიდებლობა, მათზე დამღუპველად მოქმედებს, თუკი რაიმე კარგი კეთდება ქვეყანაში, ჩასაფრებულნი არიან, რა ავნონ სახელმწიფოს. თვით არაფრის მაქნისები, სხვას განიკითხავენ. ძალაუფლების წყურვილით დაბრმავებულნი არიან. ჩემთვის წარმოუდგენელია, ამდენი ბოროტება გაუკეთო ქვეყანას იმისთვის, რომ ხელისუფლებაში მოხვიდე.

**— მეორე ფრონტის გახნას ლამობს ზოგიერთი ქვეყნის შიგნით, ზოგიერთი ქვეყნის გარედან. მაგალითად, უკრაინაში მყოფი ვინმე არახამია, მომენტს არ უშვებს ხელიდან, საქართველო გააკრიტიკოს იმის გამო, რომ აქ ახლა ომი არ არის.**

**რა მოგველის მამა ბასილ?**

— ჩვენ კარგად გვახსოვს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი როგორ დაგვცინოდა. ახლა კიდევ რაც ხდება, ყოვლად წარმოუდგენელია, რამეთუ საქართველოს ხელისუფლება, მიუხედავად უმადურობისა, კოლოსალურ დახმარებას უწევს უკრაინას, ხოლო იქედან დევნილებს, დედებსა და ბავშვებს, ყოველგვარ პირობებს უქმნიან, მაგრამ ამას ვერ ხედავენ, ისინი, ვინაც უნდა დაინახონ ეს; კერძოდ, სააკაშვილის დამქაშები, რომელთა შესაკრებელი უკრაინაა. უკრაინელებს, რატომღაც, რაც უნდა გაუკეთო, ვერაფერს ხედავენ. მათი ოცნება და მიზანია, მეორე ფრონტის გახსნა და ეს საკითხი, წარმოიდგინეთ, ძალიან მწვავედ დგას დღესდღეობით. დიახ, განსაკუთრებული ბოროტებით გამოირჩევა ვინმე სულგაყიდული არახამია, რომელიც ორმაგ ცოდვას ჩადის — ერთი ის, რომ საზღვარგარეთ ჩაბუდებული მოღალატე ლანძღავს თავისი წარმოშობი ერის წარმომადგენლებს და მეორე, შეკრულია საქართველოს მტრებთან და ერთად გეგმავენ, როგორ მოახდინონ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება.

დასავლეთი და ის ქვეყნები, რომელთაც სანქციები დაუწესეს რუსეთს, აღნიშნავენ, რომ თავად უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ვიდრე რუსეთი.

ამ დღეებში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი გადააყენეს, უნდობლობა გამოუცხადეს — უკრაინას ეხმარება იარაღით ბიუჯეტის ხარჯზე და საკუთარ ხალხს ეკონომიკურ პრობლემებს უქმნისო. ანალოგიური დღე ელოდება ამერიკის პრეზიდენტ ბაიდენსაც. მალე მასაც გადააყენებენ, ხოლო ევროკავშირი დაიშლება. ფაქტობრივად, ქვეყნიერება მესამე მსოფლიო ომის ზღვარზეა, რომლის დაწყნარებას ბრძენი გონება სჭირდება და არა არახამიასა და ზელენსკის მსგავნი, რომელთაც თავზე ენგრევათ ყოველივე, იხოცება მშვიდობიანი მოსახლეობა და ვერ აცნობიერებენ, რა ჩიხშიც მოაქციეს არა მხოლოდ უკრაინა, არა მხოლოდ საკუთარი თავი, არამედ მთელი მსოფლიო. საშინელება ხდება, ვინც უბიძგა ორ სახელმწიფოს სისხლისმღვრელი ომისკენ, გულგრილად შესცქერიან, როგორ ებრძვის ორი მართლმადიდებელი ქვეყანა ერთმანეთს. ზელენსკი კი ისევ მათკენ იშვერს ხელს და იარაღს ითხოვს ომის გასაგრძელებლად.

გარწმუნებ ჩემო კარგო, საქართველო ამ ომში არ ჩაებმება, ღმერთს მინდობილი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წყალობით, გააგრძელებს არსებობას, რამეთუ ღვთის ნების გარეშე არაფერი მოხდება, ჭირია თუ ლხინი, ამას ვიმსახურებთ ჩვენ და დაველოდებით უზენაესის ნებას.

ღმერთმა დაგლოცოთ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ირანი – ჩვენი მეზობელი

## ირანი გუშინ, დღეს, ხვალ



ნასრ ედ დინ შაჰი

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N22-23)

### ნასრ ედ დინ შაჰი – რუსეთის დაზვერვის მარიონეტი

XIX ს-ის მეორე ნახევარში რუსეთმა ირანის ფინანსურ-ეკონომიკური დაპყრობა და დამორჩილება დაიწყო. ამ დროისათვის მათ საბოლოოდ დაამარცხეს და გატეხეს შამილი — ჩეჩნეთ-დაღესტნის თავისუფლებისთვის მებრძოლი ბელადი. კავკასიაში რუსებმა ზურგი გაიმაგრეს და დიდი რესურსებით შეესივნენ ირანს, გაიყვეს რა იგი ინგლისელებთან. ირანის ჩრდილოეთ ნახევარში რუსები გაბატონდნენ, სამხრეთ ნახევარში კი ინგლისელები. ამ დროისათვის სპარსეთს შაჰ აბას პირველის ძლევამოსილებისა და დიდებისაგან კვალიც აღარ შერჩენოდა. ქვეყანას მართავდა რუსეთის იმპერატორის მიერ ირანის ტახტზე დამტკიცებული ნასრ ედ დინ შაჰი (1846-96), რომელმაც ნაცხევარი საუკუნე იმეფა და მე-19 ს-ის მიწურულს პანისლამისტური ორგანიზაციის მიერ მიგზავნილმა მკვლელმა მოკლა.

შაჰს ჰქონდა მელოტი თავი, უზარმაზარი ულვაშები და მოოქროვილი პაგონები, მასზე მიმაგრებული 6 მსხვილი ზურმუხტით. მის მუნდირზე თავს იწონებდა 40 უზარმაზარი ალმასი, რომლებიც მედლებსა და ორდენებს ცვლიდნენ.

მისი ტახტზე ასვლის ამბავი ძალზე საინტერესოა. ნასრ ედ დინ შაჰის წინამორბედი, ფატჰ ალი შაჰის შვილიშვილი მუჰამად შაჰი 1834 წელს გახდა ირანის მმართველი, ტახტის პირდაპირი მემკვიდრეების გვერდის ავლით. ირანში მან 12 წლის განამვლობაში იმეფა და რამდენადაც შეეძლო რუსეთის მიმართ მტრულ პოლიტიკას ატარებდა. 1846 წელს, მისი გარდაცვალებისას ტახტის მემკვიდრე ნასრ ედ დინი თავრიზში იმყოფებოდა. თეირანში მომუშავე რუსმა დიპლომატებმა თავრიზში მყოფ რუსეთის კონსულს — ანიჩკოვს მალემსრბოლი გაუგზავნეს წერილით: ირანის ტახტზე ასვლას ცდილობს მუჰამად შაჰის ძმა, ტახტის მემკვიდრე ნასრ ედ დინის ბიძა, რომელიც რუსეთისადმი მტრულადაა განწყობილი და საქმე ცუდად რომ არ წავიდეს, ტახტის მემკვიდრე სასწრაფოდ დედაქალაქში ჩამოგვიყვანე, რათა ირანის ტახტზე დავსვათო. დაღამებული იყო, როცა ანიჩკოვმა წერილი მიიღო. კონსული ცხენს მოახტა, ტახტის მემკვიდრესთან მივიდა, მძინარე ნასრ ედ დინი გააღვიძა, საქმის ვითარება აუწყა და ორნი, ცხენებით, დაუყოვნებლივ გაემგზავრნენ თეირანში. ყაზვინში მათ შაჰის ძმის მომხრებმა გადაუღობეს გზა. პრინც ნასრ ედ დინს იმ დროს ფული საერთოდ არ ჰქონდა, ამიტომ მსხვილი თანხა იქვე ისესხა ანიჩკოვისაგან, თავისი ბიძის მომხრეებს ქრთამად მისცა და მათაც გზა დაუთმეს. რუსმა დიპლომატებმა თავიანთი ინტრიგა წარმატებით განახორციელეს და ირანის ტაქტზე ნასრ ედ დინ შაჰი აიყვანეს.. ამის შემდეგ რუსეთის საიმპერტორო მისიაში ათწეულების მანძილზე ინახებოდა ნასრ ედ დინ შაჰის მიერ ვალის აღების ხელწერილი: მე, ნასრ ედ დინმა, რუსეთის იმპერატორისაგან, რომელსაც წარმოადგენს კონსული ანიჩკოვი, ამდენი და ამდენი თანხა ვისესხეო. შაჰი სიცოცხლის ბოლომდე თავს რუსეთის საიმპერატორო გვირგვინის ერთგულად ასაღებდა, მაგრამ როგორც ეს საერთოდ სომეხთა და სპარსელთათვის არის დამახასიათებელი, ვალი არ დაუბრუნებია. რუსები კი თუმცა ხელწერილს ინახავდნენ, ამ წვრილმანის შეხსენებისაგან თავს იკავებდნენ, რადგან მოვალე, მორჩილი შაჰის მეშვეობით, რუსეთი თავის ჭკუაზე მართავდა ირანს — რესურსებით მდიდარ აღმოსავლურ ქვეყანას, საიდანაც რუსეთის ხაზინაცა და ვაჭარ-მრეწველებიც უზარმაზარ შემოსავლებსა და მოგებას იღებდნენ. ირანის ჩრდილოეთი ნახევარი, ფაქტობრივად, რუსეთის იმპერიის არაოფიციალური ნაწილი გახდა.

რუსი და ინგლისელი დამპყრობლები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ნასრ ედ დინ შაჰთან. მსხვილი სესხებითა და სამხედრო თავდასხმების მუქარით აკეთებინებდნენ ყველაფერს, რაც სურდათ.

სპარსეთი სრული კრახის მდგომარეობაში იმყოფებოდა და ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის არავითარი შესაძლებლობა არ ჰქონდა. ირანის ახალ ისტორიას არ ახსოვდა ხელისუფალთა ასეთი მექრთამეობა, სამშობლოს ღალატი და გაყიდვა, პატრიოტიზმის სრული უქონლობა, ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით. ამ მდგომარეობის ყველაზე დამახასიათებელი მაგალითი კი გახლდათ ირანის არმიის მდგომარეობა.

### სპარსეთის არმია – უიარაღო, მშიერი და ფეხშიშველი

ნასრ ედ დინ შაჰი დიდ ყურადღებას უთმობდა შეიარაღებულ ძალებს და ძალიან მოსწონდა, როცა პეტრე პირველის თანასწორ რეფორმატორად მოიხსენიებდნენ. მან მართლაც ჩაიდინა სპარსეთში მანამდე არნახული საქციელი: წვერი გაიპარსა და ავსტრიულ მუნდირში გამოეწყო.

იმისთვის, რომ შემდგომმა ამბებმა არ გაგაკვირვოთ, უნდა განგიმარტოთ, შაჰისა და მისი გარემოცვის ხასიათის მთავარი თვისებები იყო: პატივმოყვარეობა, სიხარბე და სიზარმაცე. როცა რაიმე საქმეს იწყებდნენ, პატივმოყვარეობა გარკვეული დოზით იმპულსს აძლევდათ, სიხარბე და ანგარება აიძულებდათ, საქმის არსი გადაესხვაფერებინათ და დაემახინჯებინათ და ამით საქმე წაეხდინათ, ხოლო სიზარმაცე მთლიანად დაასამარებდა ხოლმე ყოველგვარ ჯანსაღ წამოწყებას. მაგალითად, სპარსელებმა პეტრე პირველის ბრძნულ ქმედებებს მიბაძეს და არმიის ინსტრუქტორთა თანამდებობებზე უცხოელები დანიშნეს დაიწყეს. მაგრამ ინსტრუქტორებად დასანიშნ კანდიდატთა ძებნა დაიწყეს სპარსეთში მცხოვრებ უცხოელთა შორის, რომლებზედაც ხელი ადვილად მიუწვდებოდათ და რაც მთავარია, მათი დაქირავება იაფი უჯდებოდათ. მაგალითად, ირანის ქვეით ჯარს წვრთნიდა ავსტრო-ელი, რომელიც მანამდე ტრამვაის კონდუქტორი გახლდათ თბილისში და გერმანელი, რომელიც ტელეგრაფისტად იყო ნამუშევარი სოხუმში. სპარსელებმა ორივეს ბრიგადის გენერლის წოდება მიანიჭეს.

ოფიციალური მონაცემებით, ქვეითი ჯარი 65 000 მებრძოლს მოითვლიდა. სინამდვილეში კი მათი ოდენობა 20 000 არ აღემატებოდა. დანარჩენები სახლებში იყვნენ გაშვებული და ოჯახის საქმეებიტ იყვნენ დაკავებული.

იმ ხანებში ირანმა 30 000 ავსტრიული შაშხანა შეისყიდა, მაგრამ მათ არავის აძლევდნენ, რადგან ეშინოდათ, ვაითუ, დაკარგონ ან გააფუჭონო. ამის გამო სპარსელი ჯარისკაცები ძველ, კაჟიან თოფებს ატარებდნენ, მაგრამ არ ჰქონდათ არც კაჟი და არც დენთი. ამის გამო თოფის სროლა არ შეეძლოთ. ფაქტობრივად, ქვეით ჯარს ცეცხლსასროლი იარაღი არ ჰქონდა.

სამხედრო ფორმა ავსტრიული იყო, მაგრამ კომპლექტში ფეხსაცემლი არ შედიოდა, რის გამოც სპარსელთა არმიის მესამედზე მეტი ფეხშიშველი დადიოდა. დანარჩენებს კი ძველისძველი, დაგლეჯილი და ძირგახვრეტილი ფეხსაცმელი, ანდა ხელით დამზადებული ქალამნები ეცვათ.

რიგითი ირანელი ჯარისკაცის ყოველდღიური საკვები იყო ყურძენი და საზამთრო, იშვიათად, ყველი და ლავაში პური. უკეთესად საქმე არც არტილერიას ჰქონდა. მის არსენალს ხელმძღვანელობდა ხელოვნებათა მინისტრი, რადგან სახელმწიფო თანამდებობები იყიდებოდა და არტილერიის ხელმძღვანელის პოსტი ხელოვნებათა მინისტრმა შეისყიდა. რამდენი ქვემეხი ჰქონდათ ქვეყანაში, დანამდვილებით, არავინ იცოდა. ამბობდნენ, დაახლოებით, ათასი გვექნებაო. მაგრამ მათ რიცხვში შედიოდა შაჰ აბასისა და ნადირ შაჰის დროინდელი სპილენძისა და ბრინჯაოს ანტიკვარიატი... თანამედროვე ქვემეხები 30-40 ცალი ჰქონდათ. საბრძოლო წვრთნებს წელიწადში ერთხელ აწყობდნენ. ყოველი სახეობის თითო ქვემეხი გამოჰყავდათ და ისროდნენ, რაც შეიძლება შორს. არტილერიაში იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც მოხსენიებას საჭიროებს — ცხენები, რომლებიც ქვემეხების გადასაზიდად იყო გამოყოფილი, შაჰის ჰარემის საკუთრება იყო და სამხედრო საჭიროებისათვის მათ გამოსაყენებლად აუცილებელი იყო ნებართვა აეღოთ შაჰის ცოლებისაგან და მათი მომვლელი მთავარი საჭურისისაგან, რომელსაც, ასევე, ბრიგადის გენერლის სამხედრო წოდება ჰქონდა. ჯარები შინაურ და გარე შეტაკებებში სულ მარცხდებოდნენ და მარცხდებოდნენ. ერთხელაც, როდესაც სპარსელთა ჯარი მომთაბარე თურქმენებთან მორიგ შეტაკებაში დამარცხდა, ნასრ ედ დინ შაჰმა თავის სარდლებს თავი მოუყარა, სასტიკად გამოლანძღა და უბრძანა, რაიმე იღონეთო. სარდლებმა დაუყოვნებლივ შეკრიბეს სამხედრო საბჭო. ამ საბჭომ დაადგინა: შევისყიდოთ ისეთი ჰალსტუხები, როგორებიც რუსებს უკეთიათ და ისეთი ხელთათმანები, როგორიც ავსტრიულ ჯარს აქვსო. სამი დღის შემდეგ რამდენიმე „განახლებული“ პოლკი შაჰს წარუდგინეს. ჯარისკაცებს მუნდირების ზემოდან ფერად-ფერადი ჰალსტუხები ეკიდათ, ხოლო ქამარში თითო-თითო ხელთათმანი ჰქონდათ გარჭობილი. ეს იყო სულ, რაც ადგილობრივ ბაზარზე იშოვეს.

რეფორმა ჯარის ელიტურ ნაწილებსაც შეეხო, შაჰის მცველთა რაზმი ჩერქეზულ ჩოხებში გამოაწყვეს და თავებზე პრუსიული ჩაჩქნები დაახურეს, კინკრიხოებზე პაწია ბასრი შუბები. სპარსული არმიის ერთადერთი ბრძოლისუნარიანი ნაწილი იყო კავალერია, რომელიც რუსეთის იმპერატორის მიერ სპარსეთის ჯარის განკარგულებაში გადაცემული რუსი კაზაკების ბრიგადას წარმოადგენდა. იგი შედგებოდა ცხენოსანთა სამი პოლკისაგან, რომელთაც რუსეთის იმპერატორის სამსახურში მყოფი რუსი ოფიცრები მეთაურობდნენ. ამ ბრიგადის მეთაური ემორჩილებოდა თეირანში რუსეთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, რომელიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წყვეტდა, უნდა შეესრულებინა ოფიცრებსა და კაზაკებს შაჰის ბრძანება თუ არა. არარეგულარული ცხენოსანი ჯარი, მომთაბარე ტომები, რომელთა მებრძოლების რიცხვი, სხვადასხვა შეფასებებით, 200 000-მდე იყო, სამხედრო საქმისათვის ისევე ვარგოდნენ, როგორც ქვეითი ჯარი და არტილერია. არმიის მდგომარეობა მთელი მაშინდელი ირანის მდგომარეობას ასახავდა. მაგრამ შაჰი და მისი სახლის კარი ამის გამო არ ნაღვლობდა, თავიანთი სახელმწიფო რუს და ინგლისელ დამპყრობლებზე იჯარით ჰქონდათ გაცემული — ეს ბევრად უფრო მეტ შემოსავალს აძლევდათ, ვიდრე ქვეყნის დამოუკიდებლად მართვა.



რუსი ჯარისკაცები

(გაგრძელება იქნება)

# ორი ამბავი – ერთი სასიხარულო, მეორე სამწუხარო



„დიდი შვიდეულის“ და ნატოს სამიტებიდან დაბრუნებული დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი სამშობლოში უმალ სკანდალში გაეხვია. თავდაპირველად მის ადმინისტრაციაში მუშაობაზე უარი განაცხადა ორმა საკვანძო — ჯანდაცვის და ფინანსთა მინისტრმა. ჩინოვნიკები გადადგნენ. ჯონსონის მიერ გატარებულ პოლიტიკას უნდობლობას უცხადებენ მისივე, კონსერვატიული პარტიის წევრები და მოსახლეობის უმრავლესობა. ამიტომაც გასული კვირის დასაწყისში პარტიის წევრებმა ჯონსონს გადადგომისკენ მოუწოდეს. ბრიტანული გამოცემა „გარდიანი“ წერდა: „...შესაძლოა, ჯონსონისთვის პოლიტიკურად ყველაფერი დამთავრდეს“. ანალიტიკოსების შეფასებით, ჯონსონის გადადგომა გარდაუვალი იყო, უბრალოდ, დროში გაიწელებოდა.

თავიდან ჯონსონი პოსტის დატოვებას არც ფიქრობდა. თანამდებობიდან გაათავისუფლა კომუნალური მომსახურების მინისტრი, რომელიც აქტიურად ითხოვდა ჯონსონის გადადგომას. ამით თითქოს სცადა კონტრშეტევაზე გადასვლა. ბრიტანული პრესის ინფორმაციით, ჯონსონი თანაპარტიელებს დაემუქრა. „..ჩემს გადასაყენებლად ხელების სისხლში გასვრა მოგიწევთ“. ვისი სისხლი უნდა დაღვრილიყო, არ დაუკონკრეტებიათ. ამომრჩევლების დაშინებაც სცადა: „ჩემი წასვლით ბრიტანეთში პოლიტიკურად დაბნელდება“-ო, უთქვამს.

ბრიტანეთის პარლამენტში ლეიბორისტული პარტიის წევრებმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს ჯონსონი არასწორად გატარებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამო. კონსერვატორებს მისი დაცვა არც უცდიათ, რაც დღემდე ისტორიაში არ ყოფილა. სულ რაღაც ორ დღეში პროტესტის ნიშნად და ჯონსონის გადადგომის მოთხოვნით 64-მა მაღალჩინოსანმა დატოვა თანამდებობა. ეს მიანიშნებს ქვეყანაში არსებულ ღრმა პოლიტიკურ კრიზისზე. ჯონსონს გადადგომა კატეგორიულად მოსთხოვა ქვეყნის გენერალურმა პროკურორმაც. საგარეო საქმეთა მინისტრმა ელიზაბეტ ტრასსმა სასწრაფოდ დატოვა ინდონეზიაში მიმდინარე „დიდი ოცეულის“ მინისტრების სამიტი და სამშობლოში დაბრუნდა. ბრიტანეთში ჩავიდა არა ჯონსონის მხარდასაჭერად, არამედ მისი გადადგომის მოწოდებისთვის.

ჯონსონი იძულებული გახდა და თანამდებობა დატოვა. თუმცა შემოდგომამდე, ვიდრე პარლამენტარები საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნდებიან, მოვალეობის შემსრულებლად დარჩება, მაგრამ ვერანაირ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებს. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრობაზე უკვე 11 კანდიდატი აცხადებს პრეტენზიას. რა არჩევანს გააკეთებს პარლამენტი, შემოდგომით გაირკვევა. იქაური პრესა წერს, რომ ჯონსონის წასვლით ბრიტანელებმა შვებით ამოისუნთქეს.

რით დაამახსოვრა თავი ბრიტანეთის 77-ე პრემიერმა სამყაროს? პირველ რიგში, თავისი გაწეწილი, დაუვარცხნელი თმით, უკბილო ხუმრობებით, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისით, გაანაწყენა ევროკავშირი... განსაკუთრებით აღსანიშნავია შარშანდელი ეკონომიკური ინციდენტი. ავსტრალიამ საფრანგეთს გაუუქმა კონტრაქტი სამხედრო გემების შეძენაზე, რითიც 65 მილიარდი დოლარით დააზარალა. გავრცელებული ინფორმაციით, იდეა სწორედ ჯონსონს ეკუთვნოდა.

ამიტომაც ჯონსონის გადადგომით გული არავის დასწყვეტია, არც არავინ ახსენებს, მათ შორის, მოკავშირე ქვეყნების, იგივე ავსტრალიის, აშშ-ის ლიდერები. გამოცემა „ვაშინგტონ პოსტმა“ „საზიზღარი პრემიერ-მინისტრი“ უწოდა, ესპანურმა პრესამ კლოუნი და ბრიტანელების სირცხვილი. ჯონსონი ბრიტანეთში კარიკატურისტების მუზა გახდა. უინსტონ ჩერჩილის პატივსაცემად ბრიტანელებმა მისი სახელი სიგარას შეარქვეს. ახლა აპირებენ, ჯონსონის სახელი ყველაზე იაფფასიან სავარცხელს დაარქვან. ამერიკელი პოლიტოლოგმა დიმიტრი საიმსმა ჯონსონი „პოლიტიკურ ხულიგნად“ მოიხსენია. ერთადერთი ქვეყანა, სადაც ჯონსონის გადადგომის გამო დანაღვლიანდნენ, უკრაინაა. ამიტომაც ურჩიეს 19%-იანი რეიტინგის პოლიტიკოსს ენაკვიმატმა მიმომხილველებმა — მიბაძოს სააკაშვილს და კარიერა უკრაინაში გააგრძელოს. თუმცა, როგორც ამბობენ, ის პოლიტიკიდან საერთოდ წასვლას აპირებს, რადგან სურს, მწერლობას მოკიდოს ხელი. ფაქტია, ჯონსონმა პოლიტიკური კარიერა სამარცხვინოდ დაასრულა.

მსოფლიო შეძრა გასულ კვირას იაპონიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის სინძო აბეზე თავდასხმის ცნობამ. კვირას იაპონიაში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. წინასაარჩევნო ღონისძიებაზე თანაპარტიელის მხარდასაჭერ მიტინგზე იმყოფებოდა სინძო აბე, სადაც თავდამსხმელმა ორჯერ ესროლა თვითნაკეთი იარაღიდან. ერთი ტყვია აბესთვის საბედისწერო აღმოჩნდა. დაჭრილი აბე უგონო მდგომარეობაში მიიყვანეს საავადმყოფოში. ექიმების მცდელობის მიუხედავად, მისი გადარჩენა ვერ შეძლეს და ის პარასკევს გარდაიცვალა.

თავდამხსმელი 41 წლის ყოფილი სამხედრო მოსამსახურე აღმოჩნდა. მისი თქმით, აპირებდა რომელიღაც რელიგიური სექტის ხელმძღვანელის დასჯას, რომლის გამოც დედამისი ფინანსურად დაზარალდა. ჯერ თქვა, სინძო აბე მას მივამსგავსეო, შემდეგ, მისი მფარველი მეგონაო. თავდასხმის რეალური მოტივი უცნობია. ექსპერტები ჯერჯერობით კულუარულად არ გამორიცხავენ შეკვეთილი მკვლელობის ვერსიას. საერთოდაც, იაპონია მსოფლიოში ერთ-ერთ წყნარ ქვეყანად ითვლება, სადაც მე-19 საუკუნის შემდეგ პოლიტიკური მკვლელობა არ მომხდარა. პასუხგაუცემელი კითხვები ბევრია: როგორ შეძლო თავდასმხმელმა, ზურგიდან თავისუფლად მიახლოებოდა აბეს, სად იმყოფებოდა დაცვა, რატომ დროულად არ შეაჩერეს, როგორ მოახერხა ორჯერ გასროლა? გამოძიება მიმდინარეობს და ვნახოთ, გაირკვევა თუ არა სიმართლე.

თანამედროვე პოლიტიკოსებს შორის სინძო აბე ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო. ის ყველაზე ახალგაზრდა ასაკში გახდა პრემიერი, შეეძლო ოპონენტებთან საერთო ენის გამონახვა, სადავო საკითხების გადაწყვეტა. მასზე ზეწოლა შეუძლებელი იყო, რადგან საკუთარი აზრით, შეხედულებით მოქმედებდა. სინძო აბე თითქმის ათი წელი მართავდა ქვეყანას, რაც თანამედროვე (მეორე მსოფლიო ომის შემდგომ) იაპონიაში არ ყოფილა. მოულოდნელი იყო 2020 წელს თანამდებობიდან მისი გადადგომა. მიზეზად ჯანმრთელობის გაუარესება დაასახელა, მაგრამ ბევრ პოლიტოლოგს ამისი არ სჯერა. იგი ორშაბათს დაასაფლავეს. არჩევნებში კი სწორედ სინძო აბეს პარტიამ გაიმარჯვა უმრავლესობით.



„ევროპელი ლიდერების რეპუტაცია შეირყა, რისი მიზეზიც უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებებია. აშშ-ის ადმინისტრაცია მოკავშირე ქვეყნებთან აწარმოებს საიდუმლო მოლაპარაკებას კონფლიქტის დიპლომატიური გზების ძიებაზე“, — წერს ამერიკული პრესა. პარალელურად, აგრძელებენ უკრაინისთვის შეიარაღების მიწოდებას. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯო ბაიდენის გადაწყვეტილებით, უკრაინას დამატებით 400 მილიონი დოლარის ღირებულების შეიარაღებას მიაწვდიან. ამის შესახებ მან გასულ კვირას განაცხადა. გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი უკრაინას რეაქტიულ საარტილერიო დანადგარებს მიაწვდის.

უცნაური სიტუაციაა უკრაინაში. მათთვის მიწოდებული შეიარაღების დიდი ნაწილი შავ ბაზარზე უპრობლემოდ იყიდება. ინტერნეტში უამრავი გვერდია გახსნილი, სადაც ნებისმიერი სახის იარაღის შეკვეთა-შეძენა შეუძლია მსურველს. გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია ევროპულ პრესაში, საარტილერიო დანადგარები, რომლის ფასიც 3 მილიონზე მეტია, უკრაინელებმა ორი კომპლექტი 250 ათას დოლარად გაყიდეს. ფრანგული ჰაუბიცების ორი დანადგარი რუსეთს (!) კაპიკებში მიყიდეს, რისთვისაც რუსებმა საფრანგეთის პრეზიდენტს ემანუელ მაკრონს მადლობა გადაუხადეს. ჯო ბაიდენის განცხადებით, იქამდე დაეხმარებიან უკრაინას, ვიდრე საჭირო იქნება. თუმცა უკრაინა თითქმის ყოველდღე კარგავს ტერიტორიებს, იხოცება უამრავი ადამიანი, მაგრამ ომის შეჩერებაზე მაინც არავინ ფიქრობს. „ნიუ-იორკ თაიმსის“ ინფორმაციით, აშშ-ის ბიუჯეტს უკვე 54 მილიარდი დოლარი დაუჯდა უკრაინის დახმარება, მაგრამ ახლო მომავალში ასეთი ხელგაშლილობის იმედი უკრაინელებს აღარ უნდა ჰქონდეთ. იგივე გამოცემა ასევე წერს, რომ ატლანტის ოკეანის ორივე სანაპიროზე უკვე საკმაოდ დაიღალნენ უკრაინით.

ინდონეზიაში ცალკეული ქვეყნების წარმომადგენლები, განსაკუთრებით ბლინკენი, ცდილობდნენ ჩინეთ-ინდოეთის დაპირისპირების გაღვივებას. ორივე ქვეყნის მინისტრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ჩინეთ-ინდოეთის ურთიერთობა გაუმჯობესდა და არც სადავო საკითხები აქვთ გასარკვევი. ბლინკენმა თითქმის 5-საააათიანი შეხვედრა გამართა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ვან ი-სთან. მიზანი ჩინეთის რუსეთისგან ჩამოშორება იყო, თუმცა მისი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ამის შესახებ ვან ი-მ ისაუბრა. სამიტი დასრულდა, მაგრამ ტრადიციული ერთობლივი კომუნიკე არ მიუღიათ.



სკანდალში გაეხვია გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი. პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, იგი მონაწილეობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის დახურულ კორპორატიულ წვეულებაში, სადაც სტუმრებს პერსონალურად იწვევენ. ღონისძიების შემდეგ 6-მა ქალმა საჩივრით მიმართა სათანადო ორგანოებს, რომ მეორე დღეს არაფერი ახსოვდათ და ეჭვობენ, რომ რაღაც ნივთიერება ჩაუყარეს ფარულად. გამოძიება უკვე დაიწყო და ვნახოთ, რით დასრულდება მოკვლევა. შოლცს ქვეყანაში პრობლემები არ აკლია. გასულ კვირას ბუნდესტაგში უხერხულ კითხვებზე მოუხდა პასუხის გაცემა. დეპუტატებს განსაკუთრებით აღელვებთ არსებული მძიმე ენერგეტიკული და ეკონომიკური საკითხები. თუ მდგომარეობა შემოდგომამდე არ გაუჯობესდა, შესაძლოა, თანამდებობაზე მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგეს, — იუწყება გერმანული პრესა.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# დედამიწა – „კოსმოსური ციხე“



(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N23)

თუ დააკვირდებით გარშემომყოფებს, ძალიან ადვილია იმის დანახვა, რომ ისინი თავისი მისწრაფებების მიხედვით იყოფიან სამ უკვე გაჟღერებულ ჯგუფად: გადარჩენა, კომფორტი, თავისუფლება. „გადარჩენის" კატეგორიაში შედის ყველაზე ნაკლებად განვითარებული - ჩვენი "ციხის" ყველაზე მცირე გამოცდილებით. კატეგორია "კომფორტი" მოიცავს მათ, ვინც უკვე დაშორდა უმეცრებას, მაგრამ ჯერ არ მიუღწევია მეტაფიზიკური თავისუფლების რეალიზაციამდე. კატეგორია „თავისუფლება" მოიცავს მათ, ვისაც აღარ აინტერესებს მიწიერი, ისინი არაფერზე არიან მიჯაჭვულნი, რადგან უკვე სხვადასხვა გზით გააცნობიერეს, რომ



აქ ყველაფერი არარეალურია, ხოლო რეალური რეალობა სადღაც ახლოსაა და საჭიროა რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა ამისათვის. ასობით წლის განმავლობაში ადამიანები კამათობდნენ ადამიანის სულის არსზე, მაგრამ ძალიან ცოტა ბედავს მისი არსებობის უარყოფას. ჩვენ არ ჩავუღრმავდებით ფიზიოლოგიურ ან თეოსოფიურ დახვეწილობას და გამოვყოფთ, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან რამეს „სულის" კონცეფციაში. ასე რომ, სული არის ერთგვარი უკვდავი ნივთიერება, რომელსაც ფლობს ყველა გონიერი არსება ჩვენს პლანეტაზე. სულები, ცნობილი ცნებების თანახმად, მიდრეკილნი არიან გადავიდნენ თავიანთ მატერიალურ მატარებელში - ადამიანის სხეულში - მისი კონცეფციისას და დატოვონ ეს სხეული ფიზიკური სიკვდილის შემდეგ. მიწიერ განსახიერებებს შორის სულები ბინადრობენ თავიანთ განსაკუთრებულ სამყაროში, "დახვეწილი ენერგიების" სამყაროში, მატერიალური სამყაროს მატარებლებისათვის შეგრძნებისა და გაგებისთვის მიუწვდომელი. რეინკარნაციის თეორია საუბრობს სულის განმეორებით განსახიერებაზე ადამიანის სხვადასხვა სხეულში, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, პლანეტის სხვადასხვა გეოგრაფიულ ნაწილებში.

ქრისტიანობა მხარს უჭერს თეზას ერთჯერადი განსახიერების შესახებ. პლანეტა დედამიწა, როგორც ციხე, რომ დადგინდეს, მნიშვნელოვანია, რომ სულები „დახვეწილი ენერგიების" სამყაროდან გარკვეული დროით იყოს ჩასმული მატერიალურ გარსში - ადამიანის სხეული არის მყიფე, მძიმე, არასრულყოფილი, მიდრეკილი დაავადებებისა და სხვა ფიზიკური უბედურებისკენ. დიახ, და ადამიანის მატერიალური სხეული არსებობს, თუმცა პლანეტა დედამიწის საკმაოდ მოცულობითი, მაგრამ მაინც შეზღუდულ სივრცეში მიჯაჭვული ფიზიკის, თერმოდინამიკის, გრავიტაციის, მექანიკის კანონების ჯაჭვში.

სამწუხაროა, რომ მიწიერ განსახიერებაში მყოფმა სულმა დაივიწყა ან, უბრალოდ, არ იცის რატომ, სამყაროს სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლის თანახმად მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა მატერიალურ ციხეში სახელწოდებით „პლანეტა დედამიწა". ამრიგად, არ იცის დანაშაული, რომელიც უნდა აღმოიფხვრას, სულმა არ იცის გამოსწორების გზა. ამრიგად, არჩევანის თავისუფლების მქონე ფიზიკური მოქმედებების განხორციელება ფიზიკურ სამყაროში, ფიზიკური სხეულის საშუალებით, სული ბრმად ხვდება, აუცილებლად უშვებს შეცდომებს, არღვევს წესრიგს ზონაში და ექვემდებარება მკაცრ სასჯელს ადმინისტრაციის მხრიდან. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ადგილებში შევიცნოთ, რა სახის შეკავების რეჟიმია განსაზღვრული ჩვენთვის, რა არის ნებადართული ჩვენთვის და რა არის სასიკვდილოდ საშიში. ასე რომ, სულის სურვილი, გააცნობიეროს თავისი სტატუსი და მისი შეცვლის მცდელობა - ბედისწერის საწინააღმდეგოდ წავიდეს, განსაზღვროს ან შეცვალოს თავისი პოზიცია, აუცილებლად ასოცირდება გარკვეული მოქმედებების შესრულების აუცილებლობასთან და, შესაბამისად, შეუცვლელია მათი შედეგების უმძიმესი ატანა. როგორც წესი, ფიზიკურ სამყაროში ასეთი ინიციატივის შედეგები ვლინდება სიღარიბის, ავადმყოფობის, საყვარელი ადამიანების გარდაცვალების, მიწიერ ციხეში ფიზიკური მატარებლის დაპატიმრების და სხვა უბედურების სახით. ამაში მათი დანაშაულის იგნორირება - სულის მიწიერი შეკავების უდიდესი უსამართლობაა და ამაში მდგომარეობს მისი ტანჯვის წყარო. თუმცა ამ წესრიგს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, თუ ვივარაუდებთ, რომ „პლანეტა დედამიწის" საფუძველი არ არის სიყვარული, არამედ სისასტიკეა და ვინ თქვა, რომ ციხეში უნდა იყოს საამური პირობები? ბევრი რელიგია თანხმდება, რომ სულის მიწიერი არსებობის მთავარი მნიშვნელობა არის ზუსტად განწმენდა ტანჯვის გზით. ქრისტიანული რელიგია პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად საუბრობს ადამიანების, ადამიანთა სულების ცოდვების გამო დასჯაზე და მოუწოდებს, გაუძლოს მიწიერ ტანჯვას თავმდაბლობით. ბუდიზმი ასევე აღიარებს ტანჯვას, როგორც მატერიალურ სამყაროში სულის არსებობის ერთ -ერთ მთავარ მიზეზს. გამოდის, რომ ბედნიერება მხოლოდ ტანჯვის მინიმიზაციაა და ბრძენი სულები, ძველი პატიმრები, ეუფლებიან ამ ხელოვნებას. მათ ისწავლეს და ასწავლეს, როგორ მოიქცნენ სწორად „ზონაში“, ახალგაზრდა სულებისგან განსხვავებით.

მოწიფული თუ ბრძენი გვთავაზობს სხვადასხვა რეცეპტს მიწიერი ტანჯვის შესამცირებლად: უმოქმედობა, სურვილებისა და ვნებების მიტოვება, ამქვეყნიური ცდუნებების თავიდან აცილება, სამონასტრო გზა, ასკეტიზმი და ჰერმეტიზმი.

დედამიწაზე მცხოვრები ადამიანები, თავიანთი სხვადასხვა ემოციური და სხვა მიჯაჭვულობით, ქმნიან ეგრეგორებს დახვეწილ სამყაროში, რომლებიც, დიდი სისწრაფით, იქცევიან ენერგიულ მონსტრებად. ყველაზე ძლიერი ეგრეგორები ისეთი ველურები გახდნენ, რომ ბოლო დროს ცდილობენ უკარნახონ ციხის ადმინისტრაციას წესები და დაამყაროს საკუთარი წესრიგი „პლანეტა დედამიწის“ გამასწორებელ დაწესებულებაში. ჩვენს ზონაში უპირობო ნათლიის როლს ახლა ფულის ეგრეგორი ასრულებს. რა თქმა უნდა, არა თავისთავად, არამედ არაპირდაპირ, მისი მიმდევრების მეშვეობით. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, როტშილდების ოჯახი და მსგავსი, პლანეტაზე ასობით მომვლელი და ათასობით შემსრულებელი. ფულის მიმოქცევის მექანიზმებში ისეთი კატეგორიების ჩათვლით, როგორიცაა „მოგება“, „ზრდა“, „ინტერესი“, რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში ფულის ამ ეგგრეგორმა მოახერხა თითქმის ყველა სხვა ეგრეგორის დამორჩილება, ვინაიდან ფიქრები, ემოციები, სურვილები და მოქმედებები ადამიანთა უზარმაზარი მასა ფიზიკურ სამყაროში ნაკარნახევია ექსკლუზიურად მონეტარული ინტერესებით. ზონაში მატერიალური კეთილდღეობის მიღწევა შეუძლიათ მხოლოდ მათ, ვინც შეძლეს ნათლიის სამფლობელოში შეღწევა. ჩვენს მატერიალურ სამყაროში ეს შეესაბამება ქცევას, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ქარტიას და ზონის მიზანს. საინტერესოა, გაერკვნენ, თუ როგორ არის მოწყობილი ჩვენი სასჯელაღსრულების დაწესებულება „პლანეტა დედამიწა". პირველ რიგში, იგი გამოყოფილია „ნებისგან" - დახვეწილი ენერგიების სამყაროდან, სადაც თავისუფალი სულები ცხოვრობენ - რამდენიმე ფილტრით, ან ჭურვით. ფიზიკური სხეულის გარდაცვალების შემდეგ სული ტოვებს "კამერას" (გვამს), მაგრამ რჩება ეთერულ სხეულში. სამი დღის შემდეგ სული თავისუფლდება ეთერული სხეულისგან, მაგრამ მაინც ბინადრობს გონებრივ სხეულში. ცხრა დღის შემდეგ სულიც გადის ამ ბარიერს. საერთო ჯამში, სულმა უნდა გაიაროს, დაახლოებით, შვიდი საგუშაგო და სანიტარული გამშვები პუნქტი გათავისუფლებამდე, თუ არაფერზე დაიჭირეს. სხეული, რომელშიც სული იხდის სასჯელს, კვდება, როდესაც პატიმარი იხდის სასჯელს ზარიდან ზარამდე, ან როდესაც ზონის ადმინისტრაცია ხედავს, რომ პატიმარი მტკიცედ დგას გამოსწორების გზაზე და გადაწყვეტს პირობით ვადამდე გათავისუფლებას. არცთუ იშვიათად ხდება, როცა ზოგიერთი დაპატიმრებული სული გადაწყვეტს გაქცევას - თვითმკვლელობას. ზონის ნებით მიტოვება, ადმინისტრაციის სანქციის გარეშე, მძიმე დანაშაულია. სავარაუდოდ, გაქცეულ სულს სამუდამოდ მოკლებულია ყოველგვარი შესაძლებლობა, დაბრუნდეს თავის სამყაროში, როგორც თავისუფალი მოქალაქე, და ასევე მოკლებულია შესაძლებლობას, გააგრძელოს კორექტირება ზონაში, ან მომავალში აღმოჩნდეს კიდევ უფრო მკაცრ პირობებში. მეამბოხე სული ერთგვარი "სასჯელის საკანში" არის ჩაკეტილი, რომელშიც ის რჩება უმოქმედობაში. ამასთან, დედამიწაზე განსახიერებულმა სულებმა არ იციან თვითმკვლელობით გაქცევის შედეგები, ამიტომ, მიუხედავად ყველა საშინელებისა, წყევლისა და სასჯელისა ზეციდან, რომელსაც ადამიანთა საზოგადოებაში თვითმკვლელობა უკავშირდება, მიუხედავად რელიგიური ინსტიტუტების მკაცრი და ცალსახა გაფრთხილებისა, გაქცევის, სტატისტიკის მიხედვით, მსჯელობა სტაბილურად იზრდება, ასევე, ერთსულოვანი დაგმობა, რომლითაც რელიგიური და საერო იდეოლოგია გამოდის თვითმკვლელობასთან და ევთანაზიასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ მოწმობს იმ ფაქტს, რომ სულები იგზავნება პლანეტა დედამიწაზე იძულებითი შეკვეთით და სულები არ დებენ ასეთ "შეთანხმებებს" უმაღლეს ძალებთან, რადგან ნებისმიერი ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს მისი შეწყვეტის პირობებს, ორმხრივად ან ცალმხრივად, რაც ჩვენ არ ვიცით, ან არ გვახსოვს და რაც არ გვახსოვს, შეიძლება იყოს ხელშეკრულების პირობა და ჩვენი გადამოწმება. ამრიგად, ცხოვრებიდან უნებართვო გასვლა არის აჯანყება, უარი, ბედისა და ღვთაებრივი ნების აქტიური წინააღმდეგობა და, შესაბამისად, ისჯება უმოწყალოდ. სხვათა შორის, ზოგიერთ პატიმარს უფლება აქვს გავიდეს ზონის გარეთ, ასე ვთქვათ, სასეირნოდ - თუმცა, არცთუ ისე შორს და მცირე ხნით სხვადასხვა სახის მედიტაციით, მაგრამ მათ შორის ბევრი სამყაროა საკუთარი წესებით და კანონებით, რომლებიც ყველაზე ხშირად "მიფრინავენ" არასწორ ადგილას, ატარებენ დროს, ზოგი ექვემდებარება "სხვა" ასტრალურ ერთეულებს, რომლებსაც თავიანთი ერთგულების მეშვეობით უჩნდებათ ინტერესი დედამიწაზე.

აშკარაა, რომ ჩვენი „პლანეტა დედამიწის“ გამოსასწორებელი დაწესებულება მოქმედებს პოლიციის კონტროლის დახვეწილ სისტემაზე, რომელიც მიზნად ისახავს, პირველ რიგში, პატიმრების მხრიდან ნებისმიერი ინიციატივის ჩახშობას, რომლის მიზანია მათი მდგომარეობის გაუმჯობესება - მათი ბედის შეცვლა და მეორეც, ადამიანების შენარჩუნება. მუდმივი ჩაგვრა, მდგომარეობის სიმძიმე, ძნელი სათქმელია, როგორ მუშაობს ეს სისტემა, მაგრამ ის საკმაოდ ეფექტურად მუშაობს. მაგალითად, საკმარისია სიტყვიერად გამოხატოთ სხვისი თანდასწრებით თქვენი განზრახვა: გააფორმოთ კონტრაქტი, მიიღოთ ფული, იყიდოთ რამე, გქონდეთ სექსი, გაერთოთ, წახვიდეთ, სადმე გაფრინდეთ და ასე შემდეგ, აქ, აუხსნელი გზით, წარმოიქმნება ათეულობით გარემოება, რომელიც აფერხებს ამ განზრახვის განხორციელებას. კიდევ ერთი ცნობილი, მაგრამ ძნელი ასახსნელი ფაქტი: სხვადასხვა ინდივიდუალური და მასობრივი ადამიანური შიშები უკიდურესად გარდაუვალია: სიკვდილის შიში, ავადმყოფობის შიში, ფულის გარეშე დარჩენის შიში, დაუქორწინებლობის შიში, შიში ავიაკომპანიებში ფრენის, გველების შიში, ომის შიში, შიმშილის შიში, ცხიმის მიღების შიში. შენიშვნა - ეს არის შიშები, ცუდი ფიქრები, რომლებიც რეალურად ჩვენი შეზღუდვაა და არა ტკბილი ოცნებები და არა ფიქრები ბედნიერებასა და კეთილდღეობაზე. ეს არის კანონი. ზონა უნდა იყოს ცუდი და ყველას აქვს საკუთარი ინდივიდუალური ბარიერები, გისოსები და მავთულხლართები შიშის სახით. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ასეთი ეფექტური გამასწორებელი სისტემა მოითხოვს ზედამხედველთა დიდ პერსონალს. ასეც არის - სამყარო სავსეა სულებით, დემონებით, დემონებით და სხვა ნახევრად ხილული ბოროტი სულებით, რომლებიც ასრულებენ ინფორმატორების, მაწანწალების, შემსრულებლების, მარიონეტებისა და მეურვეების როლს.

მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

(გაგრძელება იქნება)



# „ქრისტიანობის ჩემეული გამოხატულება სიკეთის კეთებაა“

## არჩილ ხომასურიძის 80 წლის იუბილისადმი

ახლახან საინტერესო და შთამბეჭდავი საღამო გაიმართა „თბილისი მერიოტის“ სააქტო დარბაზში. ქართული საზოგადოების, მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, მეცნიერებმა, რეპროდუქტოლოგიისა და მეანობა-გინეკოლოგიის წამყვანმა სპეციალისტებმა, თანამშრომლებმა, აღზრდილებმა და მეგობრებმა „პროფესორ ჟორდანიასა და პროფესორ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგის ინსტიტუტის“ დამფუძნებელსა და გენერალურ დირექტორს, ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რეპროდუქტოლოგიისა და მეანობა-გინელოლოგიის დეპარტამენტის დამფუძნებელსა და ხელმძღვანელს, საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაციის დამფუძნებელსა და პრეზიდენტს, ადამიანის რეპროდუქციის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსს, ბატონ არჩილ ხომასურიძეს 80 წლის იუბილე ამჯერად უკვე ფართო აუდიტორიის წინაშე მოულოცეს.

„თბილისი მერიოტის“ **Assembly-Hal** სავსე იყო მილოცვებით და სიყვარულით სავსე ემოციებით. გამომსვლელები იხსენებდნენ ურთიერთობების სასიამოვნო წუთებს და მადლიერებას გამოხატავდნენ იუბილარი კოლეგისა და მასწავლებლის მიმართ.

იმ საღამოს არაერთხელ ითქვა და ისედაც საყოველთაოდაა ცნობილი, რომ პროფესორი არჩილ ხომასურიძე არის ჩვენი თანამედროვეობის უდიდესი მეცნიერი და პრაქტიკოსი ექიმი, ეპოქალური ადამიანი, რომელმაც შექმნა რეპროდუქტოლოგიის მთელი



ეპოპეა საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში.

არაერთხელ აღმინიშნავს მეც, დაგვიწერია ჩვენს გაზეთში ბატონი არჩილის ღვაწლის შესახებ ქართულ მედიცინაში და კერძოდ, რეპროდუქტოლოგიაში, მაგრამ არასდროს დაგვიკონკრეტებია, სახელდობრ, რა და რატომ არის ასე მნიშვნელოვანი რეპროდქტოლოგია საქართველოსთვის და რა არის, საერთოდ, რეპროდუქტოლოგია, უბრალოდ, პოპულარული ენით რომ ვთქვათ, ტერმინი სამეცნიერო დატვირთვისგანაც რომ გავათავისუფლოთ.

რეპროდუქტოლოგია შეისწავლის ადამიანის რეპროდუქციული, ანუ შვილოსნობის სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას და ამ სისტემის პათოლოგიებს, პირველ რიგში, უშვილობას, როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში და სხვადასხვა ასაკში განვითარებული რეპროდუქციული დარღვევების პროფილაქტიკასა და მკურნალობას.

დამეთანხმებით, რამდენად მნიშვნელოვანია ყოველივე ეს თითოეული ადამიანისთვის, ყოველი მამაკაცისა და ქალისთვის, ოჯახებისთვის, დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარი ჩვენი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის.

ამ უდიდეს საქმეს აკეთებს მთელი ცხოვრება არჩილ ხომასურიძე, სახელმწიფო კაცი, კაცილეგენდა თავისი მოღვაწეობით, კაცობით და განვლილი გზით, რომელიც არც ვარდ-ყვავილებით ყოფილა მოფენილი და არც წინააღმდეგობების გარეშე.

„ხელახლა რომ მომიწიოს ცხოვრების დაწყება, ისევ იგივე გზას ავირჩევდი“, — ამბობს არჩილ ხომასურიძე თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ჩემი გზა“, რომლის პრეზენტაციაც ბატონი არჩილის იუბილეს დაემთხვა.

წიგნს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს არჩილ ხომასურიძის სიტყვები: „ქრისტიანობის ჩემეული გამოხატულება სიკეთის კეთებაა“.

მას არაერთხელ აღუნიშნავს და ასეცაა: ყველაზე კეთილშობილური ადამიანური თვისება, სხვა თვისებათაგან, ადამიანში არის სიკეთის კეთება, ყველაზე ცუდი კი ღალატი და უმადურობა, „ამიტომ ყველაზე დიდ ტკივილს მაყენებს ის ფაქტი, რომ ჟორდანიას ინსტიტუტის ზოგიერთ აღზრდილს ავიწყდება თავიანთი „ალმა მატერი“ და პროფესიულ კარიერასა და წარმატებას მხოლოდ საკუთარ თავს მიაწერს, არადა, ყველა მათგანს „ფრთები“ ჟორდანიას სახელობის ისტორიულმა ინსტიტუტმა მისცაო“, — გულისტკივილით აღნიშნავს დიდი მეცნიერი.

არჩილ ხომასურიძე გახლავთ მაგალითი შრომისმოყვარეობის, სიმტკიცის, ჭირთა თმენის, საქმის და მეგობრის ერთგულების, პროფესიონალიზმის.

სწორედ ამ დიდებული ადამიანური თვისებების გამო ულოცავდნენ იუბილეს გულწრფელი სიყვარულით იმ დღეს ბატონ არჩილს სტუმრები და მადლიერი საზოგადოება.

ღონისძიებამ უშუალოდ, ინტელექტუალური სისადავით გამორჩეულ ატმოსფეროში ჩაიარა.

ასეთი საღამოები კი იშვიათია დღეს ჩვენს საზოგადოებაში, რომელსაც კარს უმტვრევს კი არა უკვე შემოუმტვრია მდარე ხარისხის, ბულვარულმა პანეგირიკულმა დილებმა და საღამოებმა მიძღვნილმა საშუალო დონის მეცნიერებისადმი, საშუალო ნიჭის შემოქმედი ადამიანებისადმი.

საღამოს წარუძღვნენ პროფესორი ჯენარო ქრისტესაშვილი და ქალბატონი ლალი ფხალაძე.

„პროფესორ ჟორდანიასა და პროფესორ ხომასურიძის სახელობის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის“ სახელით ინსტიტუტის კლინიკურმა დირექტორმა, ქალბატონმა ლალი ფხალაძემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისთვის.

დამსწრეებს საჩუქრად გადაეცათ არჩილ ხომასურიძის ახალი წიგნი „ჩემი გზა“.

„საერთო გაზეთი“ კიდევ ერთხელ ულოცავს ბატონ არჩილს იუბილეს და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს.

დიდხანს გეკეთებინოთ სიკეთე, ბატონო არჩილ, გევლოთ ქრისტეს გზით, რადგან ცხოვრების კრედოდ სწორედ უფლის მოვლინების ძირითადი არსი და მთავარი დეფინიცია — სიკეთის კეთება დაგისახავთ და ასე გააგრძელეთ კიდევ 100 წელი.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18





# საფრანგეთის რევოლუცია, რომელმაც შეცვალა სამყარო

## 14 ივლისი — ბასტილიის აღების დღე



საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ მსოფლიო ისტორიაში გარდამტეხი როლი შეასრულა. ის, უპირველესად, ფინანსური კრიზისით იყო გამოწვეული. რევოლუცია ბასტილიის ციხესიმაგრის შტურმით დაიწყო 1789 წლის 14 ივლისს. რევოლუციის დროს ბევრი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის მეფე ლუდოვიკო XVI, დედოფალი მარია-ანტუანეტა და სახალხო ლიდერი მაქსიმილიან რობესპიერი. საფრანგეთის რევოლუციამ შეცვალა თანამედროვე ისტორიის მსვლელობა, გამოიწვია აბსოლუტური მონარქიის დაცემა და ის რესპუბლიკებითა და ლიბერალური დემოკრატიით შეცვალა. მემარჯვენე-მემარცხენე პოლიტიკა, საფრანგეთის ნაციონალური ჰიმნი და დროშა, ასევე მისი ნაციონალური დღე — ყველაფერი საფრანგეთის რევოლუციის შედეგად შეიქმნა.



**ფინანსური კრიზისი**. რევოლუციამდე საფრანგეთი ფინანსური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. ეს, პირველყოვლისა, რამდენიმე ძვირადღირებულ ომში საფრანგეთის მონაწილეობის გამო მოხდა. გარდა ამისა, ამინდმა და ცუდმა მოსავალმა ფქვილზე ფასების ზრდა გამოიწვია. პური ფრანგების უმეტესობის ძირითადი საკვები იყო და მის გაძვირებას უკმაყოფილება მოჰყვა. გარდა ამისა, ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების მიზეზი სამეფო ოჯახის მიერ ფუფუნების საგნებზე უზარმაზარი თანხების ხარჯვაც გახდა. რადგან სასულიერო პირებსა და თავადებს ბევრი პრივილეგია ჰქონდათ, ფინანსური კრიზისის მთელი სიმძიმე უბრალო ხალხს დააწვა — ისინი მშივრები, უმუშევრები და გაბრაზებულები იყვნენ.

**ბასტილიის შტურმი – საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისი**. 1789 წლის 9 ივლისს ფრანგმა ხალხმა შექმნა ნაციონალური დამფუძნებელი კრება. ამ დროისთვის საფრანგეთში უცხოელმა დაქირავებულმა ჯარისკაცებმა იწყეს შესვლა. გარდა ამისა, მეფე ლუდოვიკო XVI-მ გადააყენა ჟაკ ნეკერი, ფინანსების დეპარტამენტის დირექტორი, რომელიც უბრალო ხალხის მხარეზე იყო. პარიზელებმა ეს ნაციონალური დამფუძნებელი კრების გაუქმებად აღიქვეს და 14 ივლისს ბასტილიის ციხესიმაგრეს შეუტიეს, რომელიც რამდენიმე საათში დანებდა. იმის გარდა, რომ ბასტილია ციხის ფუნქციებს ასრულებდა, იქ იარაღი და დენთი ინახებოდა. ბასტილიის შტურმს ბევრი საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისად და ნაციონალურ დღესასწაულად მიიჩნევს.

**სამფერა კოკარდა**. ბასტილიის შტურმის დროს პარიზის მილიციელებს ლურჯ-წითელი ფერის კოკარდა ჰქონდათ (ლურჯი — სენ-მარტენი, წითელი — სენ-დენის აღნიშნავდა), თეთრი კი საფრანგეთის უძველესი ფერი იყო და მასზე დამაგრებულმა ლურჯ-წითელმა კოკარდამ ორიგინალური სამფერა კოკარდა შექმნა. ის ნაციონალური გვარდიის უნიფორმის ნაწილი გახდა, რომელმაც მილიცია ჩაანაცვლა. საფრანგეთის დროშაც სამფერია და ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან დროშად მიიჩნევა.

1789 წლის 5 ოქტომბერს პროტესტანტები პარიზის ბაზრებზე შეიკრიბნენ, რათა პურზე გაზრდილ ფასებზე ქალაქის ხელისუფლებისგან მოესმინათ პასუხი, უკმაყოფილო ხალხის მასა ვერსალის სასახლისკენ დაიძრა. მათ შტურმით აიღეს სასახლე და მეფეს „ხალხთან ერთად ცხოვრება“ მოსთხოვეს. ლუდოვიკო დათანხმდა და პარიზისკენ გაემართა ბრბოსთან ერთად. იქ სამეფო ოჯახი ნაციონალური გვარდიის „დაცვის ქვეშ“ აღმოჩნდა და ამით, ფაქტობრივად, ნაციონალური კრება დააკანონა.

1791 წლის 20 ივნისის ღამეს მეფის ოჯახმა მსახურებთან ერთად ავსტრიაში გაქცევა დააპირა. ხალხმა მეფე იცნო. ის პარიზში დააბრუნეს, გადააყენეს და დააპატიმრეს.

ავსტრიაში გაქცევის მცდელობის გამო საზოგადოებამ მეფე მოღალატედ მიიჩნია, რომელსაც მონარქიის აღსადგენად უცხოური ინტერვენციის განხორციელება სურდა, ხალხი არც მარია-ანტუანეტას წყალობდა. 1792 წლის 20 ივნიის პარიზის მოსახლეობამ ალყაში მოაქცია ტიულრი, ლუდოვიკოს ოფიციალური სახლი. საკანონმდებლო კრებამ მეფე-დედოფალი დააპატიმრა. მეფე ლუდოვიკო XVI-ს 10 აგვისტოს ქვეყნის ღალატში დასდეს ბრალი. დედოფალ მარია-ანტუანეტას მრავალრიცხოვანი ბრალდებები წაუყენეს, რომლებიც, ძირითადად, ჭორებს ეფუძნებოდა. მას 16 ოქტომბერს გილიოტინაზე მოჰკვეთეს თავი.

**ნაციონალური სამართებელი**. 1793 წლის მარტში ნაციონალურმა კრებამ, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის პირველი მთავრობას წარმოადგენდა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომიტეტი შექმნა. მისი როლი საზღვარგარეთიდან თავდასხმებისა და შიდა არეულობებისგან ახლადშექმნილი რესპუბლიკის დაცვა იყო. კომიტეტი 12 წევრისგან შედგებოდა, რომელთაგან ყველაზე გამორჩენილი მაქსიმილიან რობესპირი იყო. 1793 წლის 5 სექტემბრიდან 1794 წლის 28 ივლისამდე პერიოდში, რომელიც ტერორის სამეფოდ არის ცნობილი, ის, ფაქტობრივად, საფრანგეთის მთავრობის მეთაური იყო. რევოლუციის სახელით 40 000-ზე მეტი ადამიანი დასაჯეს. რობესპიერი შეთქმულებების სამიზნე გახდა. 1794 წლის 28 ივლისს ის დააპატიმრეს და თავი მოჰკვეთეს.

საფრანგეთის რევოლუციას სხვა ევროპული მონარქიები შიშითა და აღშფოთებით უმზერდნენ. ამას მოჰყვა რევოლუციური ომები, სამხედრო კონფლიქტების სერია, რომლებიც 1792-1802 წლებში გრძელდებოდა. საფრანგეთის რესპუბლიკა დაუპირისპირდა დიდ ბრიტანეთს, ავსტრიას და სხვა მონარქიებს. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან წარუმატებლობა განიცადა, საფრანგეთმა ნაპოლეონის მეთაურობით 1802 წლისთვის ბევრი ტერიტორია დაიპყრო. რევოლუციურმა ომებმა საფრანგეთს საშუალება მისცა, რევოლუციური პრინციპები ევროპის დიდ ნაწილზე გაევრცელებინა. ქვეყნის შიგნით, 1795 წლიდან დაწყებული, ხელისუფლება დირექტორიას ეკუთვნოდა, რომელიც კორუფციაში, პოლიტიკურ კონფლიქტებსა და ფინანსურ პრობლემებში ჩათრეული აღმოჩნდა. უფრო მეტიც, სულ უფრო მეტად ხდებოდა დამოკიდებული ჯარზე შიდა და საგარეო საქმეებსა და ფინანსებში. ნაპოლეონ ბონაპარტემ ემანუელ ჟოზეფ სიესთან და როჟე დუკოსთან ერთად ამით ისარგებლა და 1799 წლის 10 ნოემბრის გადატრიალება მოახდინა, რაც საფრანგეთის რევოლუციის დასასრულად განიხილება.

**პოლიტიკური იარლიყები**. მემარჯვენე-მემარცხენე პოლიტიკური სპექტრი — ეს პოლიტიკური პოზიციების, იდეოლოგიებისა და პარტიების კლასიფიკაციის სისტემაა. მემარცხენე პოლიტიკა სოციალური იერარქიის საპირწონედ მხარს უჭერს სოციალურ თანასწორობას და ეგალიტარიზმს (პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური თანასწორობა). მემარჯვენე პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ გარკვეული სოციალური წესები და იერარქიები გარდაუვალი, ნორმალური და სასურველია. ტერმინები „მემარჯვენე“ და „მემარცხენე“ საფრანგეთის რევოლუციის დროს გაჩნდა, როდესაც საფრანგეთის ნაციონალური კრება კონსტიტუციის პროექტზე მუშაობდა, დელეგატები გაიყვნენ ლუდოვიკო XVI-ისთვის უფლებების მინიჭების საკითხში. მონარქიის კონსერვატორი, არისტოკრატი მომხრეები, რომლებიც მეფისთვის მეტი უფლებების მინიჭებას უჭერდნენ მხარს, თავმჯდომარის მარჯვნივ ისხდნენ, ანტიროიალისტურად განწყობილი რევოლუციონერები კი — მარცხნივ. დროთა განმავლობაში ეს იარლიყები მსოფლიოში გავრცელდა.



**საფრანგეთის რევოლუცია, როგორც გარდამტეხი მომენტი ისტორიაში**. საფრანგეთის რევოლუციამ ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიოზე, ვიდრე ნებისმიერმა სხვა რევოლუციამ. მისი შედეგებია ფეოდალიზმის დასასრული, რელიგიის მნიშვნელობის შემცირება, ოლიგარქიის დანგრევა, ევროპაში ეკონომიკური ზრდა, თანამედროვე ნაციონალიზმის ზრდა და ლიბერალიზმის გავრცელება. მთავარია, რომ რევოლუციამ შეცვალა თანამედროვე ისტორიის სვლა, რითიც აბსოლუტური მონარქიების დაცემა და რესპუბლიკებითა და ლიბერალური დემოკრატიებით მათი შეცვლა გამოიწვია. საფრანგეთის რევოლუციამ საფუძველი დაუდო რევოლუციების ეპოქას ევროპისა და ამერიკის ბევრ ქვეყანაში (1798 წ. ირლანდიის აჯანყება, ჰაიტის რევოლუცია, იტალიის პირველი ომი დამოუკიდებლობისთვის, 1848 წ. სიცილიის რევოლუცია, იტალიის 1848 წ. რევოლუცია, ესპანური და პორტუგალიური კოლონიების დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ლათინურ ამერიკაში.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

„საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99